# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

645/
2000/2

2000
7-8





ანონიმური შეკითხვები გვ.19

დედა ყველა მშვენიერია და მაინც ნათია ჯიხვაშვილი გვ.17



ლეილა სიყმაშვილს მრეცხაობა სურდა და სცენაზე კი აღმოჩნდა გვ.6



ჯუმბერ ლომინაძის უცვლელი სიყვარული გვ.14

სიტუაცია: სიყვარულის სამკუთხედი გვ.17

სიზმრის სამყარო: დაიჯერე, თუ არ გჯერა! გვ.8



მიირთვით გემრიელად გვ.24

გვ.2 ინტერვიუ გერმანიიდან: მაგული გორდელაძე

# ნომერში:

## 2 „ქალი, რომელიც საიდუმლო ფარდას ხდის პაციენტის ორგანიზმს“



ასეთი სათაურით დაბეჭდა გერმანულმა გაზეთმა წერილი ჩვენი თანამემამულის, ღირსების ორდენის კავალრის მაგული გორდელაძის შესახებ!



## 21 სიყვარული ჯადოსნური ქვეყანაა და მასში ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ერთდროულად ორი მამაკაცის სიყვარული, კარგია თუ ცუდი?

ჟურნალი „ლიზა“ თვლის, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგვცემს.



## 23 ოსკარი „ოსკარისათვის“

ამბობენ, არაჩვეულებრივი მამაკაცური მომხიბვლელობა ოსკარ დე ლა რენტას ფენომენალური წარმატების ერთ-ერთი მიზეზთაგანია.

## 11 ნევროზის სადარაჯოზე



ეპოქა ნამდვილად იძლევა ნევროზის გაჩენის საფუძველს. ნევროზით დაავადებულებს საიმედოდ მკურნალობენ რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ქრონიკული

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

"Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magazine for Woman

645
2000/2



# XXI საუკუნეს დიანეტიკური აზროვნება სჭირდება

*დიანეტიკა თანამედროვე მეცნიერებაა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში დიდმა მეცნიერმა რონ ჰაბარდმა.*

*„დიანეტიკა“ ბერძნულად ნიშნავს „სულის გავლით“ („დია“-გავლა, „ნეოსი“-სული). რას აკეთებს გონება, სული სხეულისათვის? ამ შეკითხვაზე, რომელიც დიდი ხანია აღელვებს კაცობრიობას, პასუხს გასცემს დიანეტიკა.*

დიანეტიკა არ არის არც ფსიქიატრია, არც ფსიქოლოგია ან ფსიქოანალიზი. იგი მეცნიერებაა გონების შესახებ, რაც მოიცავს მთელ მეცნიერებას და მაღალი რანგის აზროვნებას. მას ძალუძს ნორმალურ ადამიანთა აბერირებული (ნორმიდან გადახრილი) აზროვნების ჭეშმარიტების სამსახურში ჩაყენება, აბერირებული აზროვნების პიროვნების ქლირად[1] გადაქცევა, ნებისმიერი ფსიქიური და ფსიქომატური დაავადების განკურნება.

არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ სახელმწიფოებს, პოლიტიკას ზოგჯერ ღუპავს ნეგატიური, არამასშტაბური მიდგომა რაციონალური საკითხებისადმი. საომარი არსენალის თვით ისეთი დამანგრეველი დაგვირგვინება, როგორიც ატომური ბომბია, დიანეტიკის არცოდნის შედეგია. ადოლფ ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომს არ დაიწყებდა და სახაროვი წყალბადის ბომბს არ შექმნიდა, დიანეტიკური აზროვნება რომ ჰქონოდათ. რაც უფრო ცნობილია, „დიდია“ პიროვნება, შეიძლება მას მით უფრო დიდი აბერაციები (ნორმიდან გადახრები) ჰქონდეს და მით უფრო საშიში იყოს საზოგადოებისათვის. ლენინი, სტალინი, ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და სხვები და სხვები, პრაქტიკულად ნორმალური, ნიჭიერი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ეს ნიჭი მათ აბერირებული აზროვნებით ჰქონდათ გაჯერებული, არაჭეშმარიტ, არაკეთილ საქმეს ემსახურებოდნენ.

თურმე ყოველგვარი სიავის მიზეზი ჩვენი გონების ფარულ სიღრმეებში არსებული ე.წ. ინგრამები[2]. ყოფილა, რაც გვიბიძგებს ნეგატიური აზროვნებისაკენ. დიანეტიკა კი ის მეცნიერებაა, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს ავისმქმნელ ინგრამათა ბასტიონი და კაცობრიობას შეუქმნას თავისი ძირითადი მიზნის – თვითგადარჩენის პირობები, ხოლო ცალკეული პიროვნებები დააყენოს ჭეშმარიტების, სიკეთის რეალურ გზაზე.

დიანეტიკა ადამიანის გონებას ათავისუფლებს იმ მბრძანებელი და კომპულსიური (არეულობის) დემონებისაგან, რომლებიც გვბოჭავენ, გვიბიძგებენ ბოროტებისაკენ, დესტაბილიზაციის, ურთიერთდაპირისპირებისა და ყოველგვარი არასწორი ქმედებისაკენ. დიანეტიკა შეიცავს პასუხს შემეცნების საბოლოო მიზანზე, გამოჰყვას ადამიანი უაზრო სიტუაციებიდან.

დიანეტიკამ შექმნა ავადმყოფობათა წარმოშობის არაბაქტერიული თეორია, განაზოგადა პასტერის ნაშრომები და დასრულებული სახე მისცა ჩვენს ცოდნას ამ დარგში.

დიანეტიკა იცავს ქალისა და მომავალი ადამიანის ჯანმრთელობის საქმეს. მას დაუშვებლად მიაჩნია ორსული ქალის ირგვლივ არასასურველი გარემოს შექმნა, უდიერად ლაპარაკი და ა.შ. რადგან ასეთი ქმედებები ნაყოფში იწვევს ინგრამულ ზუსტ ჩანაწერებს და აზიანებს მომავალი ადამიანის სულს. არაცნობიერების მდგომარეობაში გონების სიღრმეებში მიმდინარე ეს ინგრამული ჩანაწერები სამუდამოდ გაჰყვება ადამიანებს და ცხოვრების გარკვეულ ეტაპებზე იწვევს რესტიმულაციას, ჩვენს გონებას ჩაადენინებს ისეთ ნეგატიურ ქმედებებს, რაც ანალიტიკურმა გონებამ არ უნდა ჩაიდინოს. ასევე დაუშვებელია მძინარე და ნახევრადმძინარე ადამიანთან (მაგალითად, საოპერაციო მაგიდასთან ოპერაციის მიმდინარეობისას) ხმამაღლა ლაპარაკი და დიატრიბების[3]. (არასასურველი ფრაზების) წარმოთქმა. ინგრამები აქაც მუშაობს, ის ცვლის ცილოვან სტრუქტურებს, იწვევს გენების წერტილოვან მუტაციებს, რაც შთამომავლობით გადაეცემა.

დიანეტიკა გვასწავლის ადამიანთა ურთიერთობებს, ასევე სოციალური ორგანიზმების (სახელმწიფოების) ურთიერთდამოკიდებულებას, რადგან მათ გააჩნიათ თავიანთი რეაქტიული გონება, რაც ირაციონალურობებით და მთელი რიგი მცდარი აზრებითაა წარმოდგენილი. სოციალური ორგანიზმების ქცევა შეიძლება მოიხაზოს ტონების სკალაზე. იგი თვითგადარჩენის დინამიკას ფლობს. საზოგადოება, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით მოქმედებს, იდეალური საზოგადოებაა და შეესაბამება ტონ 4-ს. საზოგადოება, რომელიც დათრგუნულია არბიტრალური შეზღუდვებით და დესპოტური კანონებით, იქნება ტონ 2-ის საზოგადოება. საზოგადოება, რომელსაც მართავს ერთი ან რამდენიმე ადამიანის ჭირვეულობა, აღინიშნებოდა ტონ I-ის დონეზე, ხოლო საზოგადოება, რომელსაც რაღაც საიდუმლოებით მოცული საბჭოს ცრურწმენა და მისტერიები მართავს, იქნებოდა 0 დონის საზოგადოება. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში და ისტორიის ნებისმიერ მომენტში შეიძლება აღმოაჩინო თვითგადარჩენის პოტენციალი. ყველა ეპოქის ოქროს ხანა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ტონ 4-ს შეესაბამება.

დამთრგუნველი მოქმედებები, კერძო პირთა სიხარბე, არასწორი იდეოლოგია, კორუფცია, ქაოსი, უმუშევრობა იწვევენ დესტაბილიზაციას, ფსიქიკის დათრგუნვას და ამცირებენ თვითგადარჩენის პოტენციალს.

მხოლოდ იდეალურ საზოგადოებას და რაციონალურობას შეუძლია უვნებლად გაატაროს ადამიანი მისი განადგურების საშიშროებათა შორის.

ადამიანი გაიმარჯვებს მაშინ, თუ ის დაამარცხებს თავის შიშებს, დაეუფლება ოპტიმიზმის მაგიურ ძალას და პოზიტიურ, დიანეტიკურ აზროვნებას.

დიანეტიკა გვაწვდის რაციონალურ ხერხებს, ანალიტიკური აზროვნების მეთოდებს, რომ მსოფლიო არა მარტო დავიცვათ და გავალამაზოთ, არამედ გადავარჩინოთ კიდეც

*მამია მდინარაძე,*
მედიცინის მეცნ. კანდიდატი.

---

1. ქლირი – ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გადახრისგან

2. ინგრამა – ფსიქიური ჩანაწერი ფიზიკური ტკივილისა არაცნობიერი მდგომარეობის მომენტის შესახებ; ყველა ფაქტისა და მოვლენის დაწვრილებითი ჩანაწერი

3. დიატრიბა (ავი სიტყვა) აავადებს როგორც მის წარმომთქმელს, ასევე ირგვლივ მყოფებსაც

21.757

ქართული ბიბლიოთეკა



*წერილი ამ სათაურით, რომელიც ჩვენს თანამემამულეს, ცნობილ ბიოენერგომკურნალს მაგული გორდელაძეს ეხება, ამ დღეებში დაბეჭდა ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა.*

# „ქალი, რომელიც საიდუმლო ფარდას ხდის პაციენტის ორგანიზმს“

როცა 1989 წელს გაზეთ „თბილისში“ პირველად დავბეჭდე წერილი ქალბატონ მაგული გორდელაძე, უფრო არსებითად თუ ვიტყვი, იმ ფენომენზე, რომელსაც საბოლოოდ და გამოკვეთილად სახელიც კი არ ერქვა და უფრო მოძველებულ სახელს „ექსტრასენსს“ უწოდებდნენ, დიდი აჟიოტაჟი ატყდა ხალხშიც და სამედიცინო წრეებშიც.

მეორე დღიდან ქ-ნ მაგულის დროებით სხვაგან გადასახლება დასჭირდა, რადგან მის სახლთან ხალხის რიგმა რამდენიმე ასეულს გადააჭარბა და ყველას მიღებას, ცხადია ერთი ადამიანი კი არა, ერთი კლინიკაც ვერ შეძლებდა.

სამედიცინო წრეებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პუბლიკაციას ძალზე თავშეკავებულად (თუ არ ვიტყვი მტრულად-მეთქი) შეხვდნენ. სიტყვები: ალტერნატიული, არატრადიციული, მანუალური და მისთანანი. უმრავლეს მათგანში წინააღმდეგობის, უკეთეს შემთხვევაში მძაფრი ირონიის სურვილს ჰბადებდა.

სრული სიმართლისათვის იმასაც დავძენ, რომ ექიმებს შორისაც გამოჩნდა რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელი, რომლებიც მაგულის თავის კლინიკაში ავადმყოფთა მიღება-მკურნალობის უფლებას რთავდა და კარგ ანაზღაურებასაც სთავაზობდა, მაგრამ ქ-ნი მაგული გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა. ის უფრო სიღრმეებისკენ იცქირებოდა და ყოველ მისვლაზე ახალ წიგნში თავჩარგული მხვდებოდა.

ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით №1 ბავშვთა საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელშიც ექიმთა მეთვალყურეობით ხდებოდა მისი მეთოდის აპრობაცია და კვლევა, რასაც მოჰყვა დადებითი დასკვნები და მაგულიმ ოფიციალურად დაიწყო მუშაობა და რამდენიმე წელიწადი ემსახურა ბავშვთა ჯანმრთელობას. მთელი იმ ხნის მანძილზე მის კაბინეტს პაციენტი არ მოჰკლებია.რამდენიმე წელიწადია მაგული გორდელაძე გერმანიაში მუშაობს და როგორც ვიცით, ხელშესახები წარმატებები აქვს. ამას გარდა, იგი საქველმოქმედო მოღვაწეობასაც ეწევა. მისი მადლიერი პაციენტები სიამოვნებით აგროვებენ ფულს, რათა დაეხმარონ გაჭირვებული ქვეყნის ხალხს და ამით გამოხატონ მადლობა ქართველი ბიოენერგომკურნალობის მიმართ, ვისი წყალობითაც თავს შესანიშნავად გრძნობენ.

საქველმოქმედო თანხა გერმანიიდან პირველად ბავშვთა პირველ საავადმყოფოში მიიღეს. შემდეგ-საქართველოს საინჟინრო აკადემიის ბიოენერგოინფორმაციის განყოფილებაში, სადაც მაგული წლების მანძილზე მოღვაწეობდა.

ჰუმანიტარული დახმარება მიიღო საქართველოს ქალთა საბჭომ, რომლებიც უდედმამო ბავშვთა, უპატრონო მოხუცებულთა და ლტოლვილთა დასახმარებლად გამოიყენება და განსაკუთრებული მადლობით უნდა აღვნიშნო, რომ ქ-ნი მაგულის ძალისხმევით შეგროვილი თანხით გამოვიდა ჩვენი ჟურნალის „საქართველოს ქალის“ ერთი ნომერი.

ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით ქ-ნ მაგულის გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში და ვთხოვეთ ქართველი მკითხველისთვის მოეთხრო თავის მუშაობასა და მოღვაწეობაზე უკანასკნელი წლების მანძილზე. აი, რა გვითხრა მან:

ოფიციალურად მუშაობა ფრანკფურტის გინეკოლოგიურ კლინიკაში, სადაც დამატებით ფუნქციონირებს ნატურალური თერაპიის განყოფილება, 97 წლის სექტემბერში დავიწყე.

გერმანული მხარის დაინტერესება განაპირობა ჩემი მკურნალობის უნიკალურმა მეთოდიკამ, რაც გერმანიისთვის სიახლე იყო.

მოგეხსენებათ, გერმანიის კლინიკაში მუშაობის უფლების მოპოვება და შენარჩუნება იოლი საქმე არ არის.

თბილისში ბავშვთა საავადმყოფოში ვმუშაობდი და მთელი ყურადღება ბავშვთა დაავადებებზე მქონდა გადატანილი. აქ კი აღმოვჩნდი გინეკოლოგიურ კლინიკაში, სადაც ჩემეული ალტერნატიული მკურნალობა სჭირდებოდათ იმ სფეროში, სადაც ტრადიციული მედიცინა ნაკლებშედეგიანი იყო.

პირველი პრობლემა უშვილობა იყო. ბევრი მუშაობა და მრავალ საკითხში ძირისძირობამდე გარკვევა დამჭირდა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო არ ვარ. 9 ბავშვი ჩემი ხელშეწყობით გაჩნდა.

თუ შედეგი არ მექნებოდა და კმაყოფილი პაციენტი არ მეყოლებოდა ჩემი მუშაობაც ავტომატურად შეწყდებოდა.

ჩემი სპეციალობისადმი ცოტა როდია სკეპტიკურად განწყობილი და მათი კარგად მესმის, რადგან თავიდან ჩემთვისაც „ტერა ინკოგნიტა“ იყო ბიოენერგოინფორმატიკა. როცა ჩემში ბიოენერგომკურნალის უნარი აღმოჩნდა, მერე შევისწავლე სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული უამრავი ლიტერატურა, გავეცანი მკურნალობის მეთოდს, ვაკვირდებოდი და ვაანალიზებდი შედეგებს, რომლებიც ნამდვილად მქონდა. ჩემი მეთოდიკა დავუკავშირე ოფიციალურ მედიცინას, შედეგი უკეთესი გამოდგა. მეც ბევრს ვსწავლობდი, მედიცინას კი ჩემი დახმარება სჭირდებოდა იმ უმძიმესი დაავადებების სამკურნალოდ, რომლებიც ჩვეულებრივ თერაპიას უკვე აღარ ექვემდებარებოდა.

რასაც ახლა გეტყვით, გთხოვთ არ ჩამითვალოთ სენსაციის მოხდენის სურვილად. მე ფაქტებზე გიამბობთ, რაც გერმანული სიზუსტით არის დაფიქსირებული ჩვენს კლინიკაში.

მომიყვანეს შიდსით დაავადებული ცოლქმარი. კაცი – აფრიკელი ზანგი, ცოლი – გერმანელი ქალბატონი. დაავადების მძიმე ფორმა ჰქონდათ. ჩემი და ოფიციალური თერაპია გაერთიანდა. ყოველ ორ თვეში კეთდებოდა სისხლის ანალიზი. ორი წელი გახდება მკურნალობის დაწყებიდან და შიდსის ინფექცია სისხლში აღარ აღენიშნებათ. მკურნალობის პერიოდში მოეხსნათ საერთო სისუსტე, გამოუმუშავდათ მყარი იმუნიტეტი, თავს კარგად გრძნობენ, მედიკამენტური მკურნალობა საერთოდ მოეხსნათ.

სიმსივნით დაავადებული ქალიშვილი კატრინ ნ. (20 წლის) მძიმე ფორმით შემოვიდა: საშვილოსნო და საკვერცხეები ამოკვეთილი, უმძიმესი ავთვისებიანი სიმსივნე – ასეთი იყო ოფიციალური დიაგნოზი. ეს იყო 1996 წელი, როცა მე წინასწარ აპრობაციას გავდიოდი კლინიკაში.

ავადმყოფს ინტენსიურად უტარდებოდა ჩემი თერაპია, რასაკვირველია, ექიმების მუდმივი კონტროლით. გავიდა სამწელიწადნახევარი. ამ ხნის განმავლობაში ძალიან კარგად გრძნობს თავს. ახლა ჩემი თერაპიისა და მეთვალყურეობის ქვეშაა. სიმსივნის მაჩვენებელი ორგანიზმში აღარ გააქტიურებულა, ესაა ჩემი ყველაზე ადრინდელი სასიამოვნო შედეგი.

წელიწადნახევრის წინ ჩემი არსებობა გაიგო გერმანიაში ცნობილმა პიროვნებამ თეოლოგიის დოქტორმა ევანგელისტურკათოლიკური ეკლესიის პროფესორმა, რომელსაც მოულოდნელად აღმოაჩნდა სიმსივნე ფილტვებში და მეტასტაზები მთელს ორგანიზმში. ქიმიოთერაპია უკვე დაგვიანებული იყო. მთელ სხეულზე მორფის ტკივილგამაყუჩებელი პლასტირები ეკეთა.

დავიწყეთ ინტენსიური თერაპია, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეში ორჯერ უტარდებოდა მკურნალობა. სხეულზე ვუკეთებდი ჩემს მიერ დამუხტული წყლის კომპრესებს. მესამე დღეს მოვხსენით მორფის პლასტირები, რადგან ტკივილები ალაგდა. ორგანიზმმა გამოჯანმრთელება დაიწყო.

ამან დიდი გაოცება გამოიწვია და უამრავმა იმედგაცრუებულმა, სიმსივნით დაავადებულმა პაციენტმა მომმართა დასახმარებლად.

ყოველ სიმსივნით დაავადებულს ვიღებთ სისხლში სიმსივნის მაჩვენებელი ანალიზით, რასაც მკურნალობის პროცესში და დამთავრებისას ისევ ვამოწმებთ. საერთო მდგომარეობა უმჯობესდება, ავადმყოფებს ემატებათ ენერგია, უბრუნდებათ სიცოცხლის ხალისი, ტკივილები ეხსნებათ. აქ უკვე სუფთა ბიოენერგო მკურნალობა ტარდება ყოველგვარი მედიკამენტების გარეშე.

რასაკვირველია, ჯერჯერობით რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, მაგრამ ერთი ცხადია, სიმსივნე არ არის ცალკე ორგანოს დაავადება, რომ ის მოიცავს მთელ ორგანიზმს. სიმსივნის ბაქტერია განსაზღვრული ოდენობით ყველა ორგანიზმში არსებობს, ხოლო გააქტიურების შემთხვევაში მისი მაჩვენებელი მაღლა იწევს. ის ადვილად ხვდება ჰორმონალურ სისტემაში და მოიცავს მთელ ორგანიზმს.

ბიოენერგო მკურნალობამ, რომელიც აგრეთვე სპობს ბაქტერიას ორგანიზმში სიმსივნის წინააღმდეგ კარგი შედეგი გვიჩვენა. მკურნალობა მიმდინარეობს ყველა ენერგეტიკულ ცენტრზე ანუ ენდოკრინოლოგიურ სისტემაზე.

სიმსივნე ენერგეტიკული დაავადებაა. დღესდღეობით კლინიკაში დაგროვილია უამრავი სიმსივნიანი პაციენტის სისხლის კარგი ანალიზი, რაც უკვე სერიოზულ დაფიქრებას და განსჯას საჭიროებს. წიგნში, რომელიც ჩემი მუშაობის შესახებ, შარშან გერმანიაში გამოვიდა, სხვა მასალებთან ერთად შეტანილია, სიმსივნით დაავადებულების ჩანაწერები, რომლებიც თავს კარგად გრძნობენ.

ყველაფერმა ამან დიდი ინტერესი გამოიწვია ბიოენერგო მკურნალობის მიმართ. ხალხის მოთხოვნით საჯარო ლექციების ჩატარება მომიხდა, რათა მეტი ინფორმაცია მიმეწოდებინა მათთვის.

გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებული მაქვს რამდენიმე ლექცია-სემინარი, აგრეთვე ლექცია სწავლების კურსით. ლექციების ჩატარების ოფიციალური დოკუმენტაცია ეგზავნება საქართველოს საინჟინრო აკადემიის ენერგოინფორმატიკის განყოფილებას (განყოფილების გამგე ბატონი ნათან ბააზოვი), სადაც მე მრჩევლად ვმუშაობ ბიოენერგოინფორმატიკის დარგში.

მადლიერმა პაციენტებმა შარშან დეკემბერში შემომთავაზეს მათგან შეგროვილი თანხით ჩემი ქვეყნისათვის ცოტაოდენი დახმარება გამეწია, რაც ძალიან სასიხარულო იყო. გამახარა იმ ყურადღებამაც, რაც ქალებმა გამოიჩინეს, როცა ქალთა საბჭოს წევრად ამირჩიეს. განსაკუთრებული სიხარულით შევიტყე, რომ ბავშვთა პირველი საავადმყოფოს კოლექტივმა შუამდგომლობა აღძრა ღირსების ორდენის მისაღებად ჩემს წარდგენაზე. ჩემი სათაყვანო ქვეყნისგან გამოჩენილი ეს ყურადღება და სითბო დიდხანს გამყვება და სტიმულს მომცემს მუშაობაში. საბოლოოდ ხომ ჩემი უნარი და ენერგია სამშობლოს უნდა მოვახმარო.

ესაუბრა *ნარგიზა მგელაძე*

***P.S.*** *წერილი დასაბეჭდავად მზად იყო, როცა გამოქვეყნდა ბრძანებულება მაგული გორდელაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ. ვულოცავთ!*

# მოკლედ და ნათლად

## რა ვუყო ულვაშს?

*– ზედა ტუჩზე ღია ფერის ღინღლი მქონდა. მე ბეწვებს ვიწიწკნიდი და ღია ფერის ღინღლი შავმა ღერებმა შეცვალა. სულაც არ მინდა ულვაში მქონდეს. როგორ მოვიცილო?*

მარინე, 17 წლის

*– შეშფოთებად არ ღირს. ბევრ ქალს აქვს ზედა ტუჩზე ღინღლი და ეს ბუნებრივია, ფერი კი იმიტომ შეიცვალა, რომ ასაკი მოგემატა. მაგრამ წიწკნა და პარსვა კარგ შედეგს არ მოგცემს. უკეთესია, თუ სპეციალური კრემით ისარგებლებ. არის ასეთი – სახიდან თმის მოსაცილებელი კრემები (ან მიმართეთ კოსმეტოლოგიურ კაბინეტს.)*

## ორი მეტისმეტია

– ბებიაჩემი (დედის მხრიდან) ტყუპის ცალი იყო. მეც ხშირად მეხუმრებოდნენ, რომ უსათუოდ ტყუპი ბავშვი შემეძინებოდა. მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი მინდა ბავშვი გავაჩინო, მაგრამ მეშინია. ისეთი ძნელი დროა, ორ ბავშვს ვერ გავზრდი. თუ შეიძლება რაიმე ვიღონო, რომ მხოლოდ ერთი ბავშვი გამიჩნდეს?

ელენე, 25 წლის

*– მართლაც არის შანსი, რომ თქვენ ტყუპი გააჩინოთ. ეს შანსი არც ისე დიდია, მაგრამ მაინც... ამის თავიდან აცილება, სამწუხაროდ, არაფრით შეიძლება. ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთოთ, ეს არის ორსულობის ადრეულ პერიოდში (5 კვირამდე) ჩაიტაროთ სპეციალური გამოკვლევა ულტრაბგერით. მხოლოდ ის გაარკვევს ნაყოფის რაოდენობას. მერე კი თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, დაიტოვოთ თუ არა.*

## ჭიპის პრობლემა

*– ჭიპიდან არასასიამოვნო სუნი მდის, თუმცა რეგულარულად ვისუფთავებ, ეს რაიმეს მანიშნებელი ხომ არ არის?*

*ალექსანდრა, 32 წლის*

*– ჭიპში არის ფარული ნაოჭები, რომლებშიც ბაქტერიები და ოფლი გროვდება. ეს არის სუნის წყარო, ამას გარდა, ზოგ ადამიანს ამ ადგილას გამოუმუშავდება ყურის გოგირდისმაგვარი ნივთიერება. პრობლემა ადვილად წყდება. გარდა რეგულარულად დაბანისა, უნდა დაიმუშავოთ ჭიპი ანტიბაქტერიული საპნით ან გელით, ბამბიანი წვრილი წკირის დახმარებით.*

# ზუსტი დიაგნოზი ჯანმრთელობის საწინდარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჩვენს დედაქალაქში, ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი მაგისტრალის სიახლოვეს (მიცკევიჩის ქ. №29ა) რესპუბლიკაში ერთადერთი დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი მდებარეობს, რომელსაც დაარსების დღიდან, აგერ უკვე ათი წელია, პედიატრი, საბურთალოს რ-ნის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი ქ-ნი* **ლალი გუჯაბიძე** *ხელმძღვანელობს. აი, რა გვიამბო მან:*

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრს ანალოგი არ მოეპოვება ჩვენს ქვეყანაში და იგი ერთადერთია, სადაც სამედიცინო დახმარების მიღება ერთდროულად შეუძლია ბავშვს და დედას. ადრე დაწესებულებას ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი ეწოდებოდა, მაგრამ თვით ბავშვების დიაგნოსცირების პროცესმა მიგვიყვანა მშობლების კვლევის აუცილებლობამდე, რადგან ბევრი დაავადება, სწორედ მემკვიდრული ხასიათისაა.

პაციენტებში ცენტრი დიდი მოწონებით სარგებლობს, რადგან ესთეტიური დიზაინი და სისუფთავე მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებთან და რთულ თანამედროვე პოლიპროფილურ კვლევასთან ჰარმონიულადაა შერწყმული. ახლახან საინვესტიციო ფონდის მიერ ჩატარებულმა სარემონტო სამუშაოებმა ლაზათი შემატა ცენტრს და მრავალი პრობლემაც მოგვიხსნა, მათ შორის – განათებისა და გათბობის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე დონეზე აღჭურვილი დაწესებულების შეუფერხებლად მუშაობისთვის.

ჩვენთან დროის უმცირეს მონაკვეთში ზუსტი დიაგნოზის დასმაა შესაძლებელი, რასაც სამედიცინო პერსონალის მაღალკვალიფიციურობა განაპირობებს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის ბაზად ვითვლებით. კათედრის თანამშრომლებს საკონსულტაციო დღეები აქვთ და ავადმყოფის დიაგნოსცირება კონსილიუმის სახით ხდება.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრში ყველა სახის კვლევა მიმდინარეობს: ელექტროკარდიოგრაფია, ფუნქციური დიაგნოსტიკა, ენცეფალოგრაფია, დოპლეროგრაფია, ყველა ორგანოს ექოსკოპია და რენტგენოლოგიური გამოკვლევები, აქვე მუშაობს დამხმარე (ყელყურის, თვალის, გინეკოლოგიური, ქირურგიული, კარდიოლოგიური და სხვ.) კაბინეტები.


ლალი გუჯაბიძე




სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი

ცენტრს ესთეტიურად მოწყობილი დღის სტაციონარი და შესანიშნავად აღჭურვილი ბიოქიმიური, კლინიკური, სეროლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები აქვს, რაც განაპირობებს კიდეც დიაგნოზის ცთომილების მინიმუმამდე დაყვანას.

დაწესებულება შუალედური რგოლია პოლიკლინიკასა და სტაციონარს შორის და აქ გამოკვლეულ ავადმყოფს, ზუსტი დიაგნოზის მიღებისთანავე, თავისუფლად შეუძლია საოპერაციოდ მიმართოს ნებისმიერ კლინიკას. რაც მთავარია, მას მკურნალი ექიმის თავისუფლად არჩევის საშუალება ეძლევა, ისე, რომ არ მიეჯაჭვოს საკუთარ პოლიკლინიკას ან კონსულტაციას და იგივე სამედიცინო მომსახურება ჩვენთან უფასოდ მიიღოს.

ცენტრში 3 წლამდე ბავშვების, ორსულთა და უმწეოთა სამედიცინო მომსახურება უფასოა, დანარჩენებისათვის კი იმდენად მინიმალური ფასებია დაწესებული, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი გახლავთ. თუ სხვა კლინიკებში დოპლეროგრაფია 40-დან 60 ლარამდე ღირს, ჩვენთან 20 ლარია. გარდა ამისა, ვმონაწილეობთ ფედერალურ პროგრამებში და იოდდეფიციტის პათოლოგიის (ხალხში ჩიყვის სახელით რომაა ცნობილი) პირველადი გამოვლენა და დიაგნოსცირებაც უფასოა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენთან მომსვლელთა რიცხვი შედარებით მცირეა, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არ იცის მისი არსებობის შესახებ; ეს რეკლამის არქონითაა გამოწვეული, რადგან მისთვის განკუთვნილი არცთუ მცირე თანხით ახალი აპარატურის და რეაქტივების შეძენას ვამჯობინებთ, უტყუარი ანალიზები რომ მივიღოთ, თუმცა რეკლამის აუცილებლობას ვერ უარვყოფთ.

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ცენტრს შეფობა აქვს აღებული სასტუმრო „აფხაზეთში" მცხოვრებ სამაჩაბლოელ ლტოლვილებზე და რეგულარულად უტარებს გამოკვლევებს, ხოლო ბავშვთა დაცვის დღეებთან დაკავშირებით საჩუქრებსაც ურიგებს. ცენტრის თანამშრომლები შესაძლებლობების ფარგლებში მატერიალურ დახმარებასაც უწევენ გაჭირვებულებს, თუმც თავად დიდი ხანია ისედაც უბადრუკი ხელფასის ნაწილი არ მიუღიათ.

დაწესებულებას სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს ჩაფიქრებული, რომელთაგან უმთავრესი 1990 წელს დაწყებული დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დიდი ცენტრის მშენებლობის ბოლომდე მიყვანაა, ლამის უტოპიად რომ ექცა მთელ კოლექტივს. მანამდე კი იმედს არ კარგავენ, შეუპოვრად ეძებენ სპონსორს და ყოველთვის მზად არიან, ფხიზლად იდგნენ ჩვენი პატარებისა და მათი დედების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე

*მანანა იმესაშვილი*

# ავადმყოფობა, ჯანმრთელობა და სულიერება

## ქრისტიანული დამოკიდებულება ავადმყოფობისადმი

უფალი ადამიანებს უგზავნის ავადმყოფობასა და მწუხარებას ცოდვების გამო, მათი გამოსყიდის მიზნით, მანკიერი ცხოვრების წესი რომ შეიცვალონ, გაიცნობიერონ ეს მანკიერებანი და შეიგნონ, რომ მიწიერი ცხოვრება მოკლე ხანია ( წუთისოფელიაო, — თქვა ქართველმა კაცმა), რასაც მოჰყვება მარადიულობა. და, თუ როგორი იქნება შენთვის ეს მარადიული სიცოცხლე, შენს ამქვეყნიურ ცხოვრებაზეა დამოკიდებული.

ხშირად მშობლების ცოდვების გამო ავადმყოფობენ ბავშვები, რათა ამ სიმწარემ შეარყიოს მათი უაზრო ცხოვრება, ჩაფიქრდნენ და შეიცვალონ იგი.

ზოგჯერ ავადმყოფობით გამოგვიტაცებს ხოლმე უფალი ცხოვრების ფერხულიდან, საწოლს მიგვაჯაჭვავს და განგვარიდებს რაიმე დიდ უბედურებას, რომელსაც ვერ ავცდებოდით, ჯანმრთელები რომ დავრჩენილიყავით და ჩვეულებრივად გვეცხოვრა.

ავადმყოფობისას, როცა ექიმს მივმართავთ, ღვთისგან უნდა ვითხოვოთ კურთხევა მკურნალობაზე და მთლიანად მივენდოთ ღვთის ნებას. მაშინ ლოცვით, მარხვით, მოწყალების გაცემითა და სხვა კეთილი საქმეებით შეგვიწყალებს უფალი და გვაჩუქებს განკურნებას.

## რწმენა და „პური არსობისა"

შვეიცარიელი ექიმი პ. ტ „ბიბლია და მედიცინა" გვიამბობს: „ერთხელ ჩემს მეგობარს შევხვდი, რომელსაც ერთ ფსიქიატრთან ერთად ვმკურნალობ. მეგობარმა მიამბო, რომ ჩემმა კოლეგა ფსიქიატრმა მას ყოველ საღამოს საძილე წამლის მიღება დაუნიშნა. „მეც ვღებულობ მას, მარგო კიდეც, უფრო მშვიდი გავხდი, უკეთესად ვმუშაობ, მაგრამ ყოველთვის, როცა ეს წამალი უნდა დავლიო, მრცხვენია, რომ ამ ხელოვნურ საშუალებას მივმართავ: ვფიქრობ, ეს ღვთის რწმენის ნაკლებობაა". ამაზე ექიმ ტურნიეს უპასუხია: „წამალიც ღვთის წყალობაა, ის პურია, რომელსაც უფალი გვაძლევსო".

ამავე დროს ექიმი ტურნიე თვლის, რომ გამონაკლის შემთხვევაში ავადმყოფს შეუძლია უარი თქვას სამედიცინო დახმარებაზე. ბევრი განდეგილი საკვებს გარკვეული დროის განმავლობაში არ ღებულობდა ისე, რომ ამით ჯანმრთელობას არ ვნებდა. მაგრამ, როცა ჩვენ საკვებს ვღებულობთ, იმ „პურს არსობისას", რომელსაც ღმერთი გვაძლევს და, რომლისთვისაც მადლობას ვწირავთ უფალს, ჩვენ მაშინაც ასევე რწმენით ვცხოვრობთ. ექიმსა და წამლებს თუ მივმართავთ, ეს იგივეა, როცა ვინმეს მიერ გამომცხვარ პურს ვჭამთ, მუდამ უნდა გვახსოვდეს იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრება, მაცხოვრის ადამიანური, კაცობრივი ბუნება: იგი იოსებ დამწინდველს ეხმარებოდა და თავადაც დურგლობდა, რათა ოჯახს თავი ერჩინა, თუმცა სწორედ მან დაანაყრა ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი;

## რატომ ავადმყოფობენ ადამიანები?

ადამიანები ავადმყოფობენ, იტანჯებიან, კვდებიან... ცოტას თუ იპოვით, თავისი სნეულებისა და ტანჯვა-განსაცდელის მიზეზს თავის თავში, საკუთარ ცოდვით მიდრეკილებებში ან ცოდვით დაცემაში, რომ ხედავდეს. არადა, ამაზე მრავალგზის მოწმობს წმიდა წერილი: „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არც ერთ სენს, ეგვიპტეს რომ შევყარე, რადგან მე ვარ უფალი, შენი განმკურნებელი" (გამ. 15;26).

რატომ გვეძლევა, ღვთისაგან ავადმყოფობა, რა მიზნით? რა თქმა უნდა, ავადმყოფობა ხელს უშლის ადამიანს ცოდვითი მიდრეკილებების განხორციელებაში, გვიჩვენებს უფლის ყოვლისშემძლეობასა და მრავალმოწყალებას, ამასთან, ცოდვების გამოსყიდვაშიც გვეხმარება და განწმენდაშიც.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა შემთხვევაში როგორც მიზეზი, ისე მიზანი, სრულიად განსხვავებულია. ასე მაგალითად, თუ ავადმყოფობას ჩვენ სიხარულით ვიტანთ — შესაძლოა, ღვთისაგან ჯილდოს მისაღებად ავადმყოფობთ; თუ ვმწუხარებთ და გვიჭირს — ალბათ, სასჯელად მოგვეცა, ხოლო თუ ჩაგვაფიქრებს — მაშინ უფალს ჩვენს გამოსაფხიზლებლად და გონზე მოსაყვანად გამოუგზავნია იგი.

## დაავადება ხშირად ცხოვრების გზაცაა

ყველაფერი უკეთური, რაც კი დედამიწაზე ხდება, იქიდან მომდინარეობს, რომ ადამისა და ევას სახით ადამიანი თავიდანვე განეშორა ღმერთთან ერთობას, დაეცა რა ცოდვით... მაგრამ იმის თქმა, რომ შიზოფრენია, ან სიმსივნე, ან სხვა რომელიმე დაავადება კონკრეტულად, უსათუოდ ცოდვიანობასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის არ შეიძლება. არც თუ იშვიათად, ავადმყოფობას უფალი ადამიანს საცხოვნებლად უგზავნის.

ერთი ასეთი ამბავი გვსურს გაგახსენოთ. ავადმყოფის განკურნებისათვის ლოცვა თხოვეს ერთ წმინდანს. ის რამდენიმე დღეს ლოცულობდა, შემდეგ მოვიდა და თქვა: ღმერთმა გამიხსნა მე, რომ შეუძლია მისი განკურნება, მაგრამ ამავე დროს ისიც გამიხსნა, რომ ავადმყოფობა მას მიცემული აქვს მისი და მის ირგვლივ მყოფი მრავალი ადამიანის საცხოვნებლადო...

წმინდანთა ცხოვრებაშიც ვპოულობთ ჩვენ მრავალ მაგალითს იმისას, რომ წმიდანებიც და უბრალო მორწმუნენიც ავადმყოფობდნენ დიდხანს არა იმიტომ, რომ ცოდვილნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო მათი და მათ ირგვლივ მყოფთა ცხოვნების გზა.

კიდევ ერთ შემთხვევას გიამბობთ . ერთი გლეხი 38 წელი დამბლადაცემული იწვა თავის სახლში და ახერხებდა ყოფილიყო ცხოვრების გზის მაჩვენებელი უამრავი ადამიანისათვის, რადგან ის, თუ როგორ აღიქვამდა ეს კაცი თავის ავადმყოფობას, როგორ ითმენდა ტანჯვას, რა ნათელი, სიხარულით სავსე თვალებით ხვდებოდა ყოველ ადამიანს, ვინც მასთან მოდიოდა, შთამაგონებელი მაგალითი იყო ყველასათვის, ვისაც კი რაიმე შეხება ჰქონია მასთან.

ვახტანგ ახალაძე
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

# ლეილა სიყმაშვილს მრეცხაობა სურდა და სცენაზე აღმოჩნდა



[illegible]

ქ-ნო ლეილა, გვაამბეთ თქვენი ოჯახის, ბავშვობის შესახებ.

– დედა, პროფესიით ექიმი, [illegible]

[illegible]



[illegible]



[illegible]

[illegible]

● ● ●

[illegible]

*ნანული ბუკია*

# მშობლებს – ბლოკნოტში!



**ზაფხული – მოგზაურობის დრო**

[illegible]

**სასარგებლო გამოგონება**

[illegible]

**დედასაც გამოადგება, ბავშვსაც**

[illegible] Amai or Lek Kozmetika [illegible]

# მოგზაურობა უცხო სივრცეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანუ
## რა არის სიზმარი ეკლესიური გაგებით?

*საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობას აღელვებს ღამეულ ჩვენებათა უცნაურობა, ზოგჯერ კეთილად რომ ცხადდება, ზოგჯერ კი სიავე მოაქვს... ბიბლიაში სიზმრების „მარჯვე გამომთარგმანებლად" მოხსენებულია იოსებ მშვენიერი, რომელიც ამ ნიჭის წყალობით, ფარაონმა საპყრობილედან გაათავისუფლა და თავის პირველ ვაზირად დანიშნა. სიზმრების შესახებ მნიშვნელოვანი შრომები აქვთ ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს: პლატონს, სოკრატეს, ციცერონს, არტემიდორეს... საინტერესო გამოკვლევები აქვს ფროიდსაც, თუმცა იგი „ცხად სიზმარს" ეძახის წინასწარ განცდილზე აღმოცენებულ ჩვენებას და არაფერს ამბობს წინასწარმეტყველურ სიზმრებზე, რომელთა შესახებ ადამიანს წინასწარ არ შეეძლო რაიმე სცოდნოდა.*

*რაკი სიზმარი ძალზე უცნაური ფენომენია და საზოგადოებას ცხოველი ინტერესი აქვს გაიგოს, რა არის ეს ამოუცნობი „მოგზაურობა უცხო სივრცეში", გადავწყვიტეთ გვესაუბრა მარგველ მიტროპოლიტ კონსტანტინესთან, რომელსაც ღვთისაგან დაჰყვა სიზმრების „გამოთარგმანების" ნიჭი.*



მიტროპოლიტი კონსტანტინე

*— მეუფეო, რა არის სიზმარი ეკლესიური სწავლებით?*

— მესიზმრეობა დაგმობილია ეკლესიისგან ისევე, როგორც მაგია, მკითხაობა. ჯადოსნობა და მისთანანი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიზმარი სულ უარყოფილია და იგი არ ხდება. ეკლესიისგან უარყოფილია ღამეულ ჩვენებათა მეტისმეტი დაჯერება და მონური მორჩილება. სათნოებათა კიბის აღმწერელი იოანე კლემაქსი გვასწავლის: „რომელი სიზმართა ირწმუნებოდეს, მსგავს არს იგი კაცისა მის, რომელი აჩრდილსა თვისსა სდევდეს და ენებოს შეპყრობაჲ მისი". აქ ლაპარაკია ისეთ ადამიანზე, რომელიც ყველა სიზმარს ჭეშმარიტებად მიიჩნევს, — ჩვენ კი უნდა გვახსოვდეს, რომ მეტწილ ზმანებებში და, განსაკუთრებით კოშმარულ ჩვენებებში, ბოროტმა ძალამ შეიძლება თავისი გაიტანოს და ვერაგი ხრიკებით ზიანი მოგვაყენოს, დაგვაშინოს, სწორი გზიდან გადაგვახვევინოს.

*— როგორ გავარჩიოთ, რომელია სარწმუნო სიზმარი და რომელი — არა?*

— იოანე პეტრიწი აღწერს სიზმრის სამ სახეს, რომელთაგან პირველია წმიდა ძალის მიერ ნანახი სიზმარი, მეორე გახლავთ — ბოროტის ზეგავლენით ნანახი, მესამე კი — ყოველდღიური განცდებითა და სურვილებით აღმოცენებული ზმანება.

უფრო ხშირად მკვეთრი სიზმარი, ჩვენება ადამიანს მოევლინება დიდი განსაცდელის ან დიდი წარმატების წინა პერიოდში. ზოგჯერ შეიძლება ჩვენი თხოვნითაც ვნახოთ სიზმარი, — როცა მძიმე გასაჭირში ვართ, უნდა ვთხოვოთ უფალს საქმის გადაწყვეტა გვაჩვენოს თვალნათლივ. შეისმენს რა ზენაარი ჩვენს თხოვნას, მოგვივლენს სიზმარ-ალეგორიას, რომლის მიხედვით უკვე ადვილად განვსაზღვრავთ, როგორ მოვიქცეთ კრიტიკულ სიტუაციაში.

*— როგორ გავარკვიოთ, სიზმარი კეთილ ძალთაგან არის ნაუწყები თუ ბოროტისაგან?*

— ამის გარჩევა რწმენაში განმტკიცებულ ადამიანებს შეუძლიათ. ჩვენებები და სიზმრები ღვთის მცნებებს უნდა შევუფარდოთ და ამით გავიგებთ, ღამეული ზმანება ბოროტი სულის ხრიკია თუ კეთილ ძალთა უწყება.

ზოგჯერ გადამდეგი სულები ისეთ რამეს გვაჩვენებენ, რომ იძულებულს გვხდიან დავუჯეროთ — მოგვიწოდებენ ვითომ კარგისაკენ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენი შეცდენა სურთ, — ერთ კეთილმორწმუნე ქალს სიზმარში უთხრეს, შენი შვილები არასრულყოფილად არიან მონათლულნი და მეორედ მონათლეო. ქალმა დაიჯერა ეს „რჩევა" და ბავშვები მეორედ მონათლა, რითაც რჯულის კანონი დაარღვია და დიდ სინანულში ჩავარდა მერე.

ამგვარი მაგალითები მრავალია, მაგრამ მე ვიტყვი იმას, რომ გადამდეგ სულებს არ უნდა ვერწმუნოთ, — თუ რაიმე მნიშვნელოვანი ვნახეთ, მოძღვარს უნდა მოვუყვეთ და მისი რჩევის მიხედვით ვიმოქმედოთ.

*— მეტწილად რომელი სიზმრები ხდება?*

— რომლებიც მკვეთრადაა შემონახული ჩვენს მეხსიერებაში. ყურადღება უნდა გავამახვილოთ სიზმრის შინაარსზე, — თუ შინაარსი ბუნდოვანია და დახლართული, იგი არ ახდება. არ ახდება არც ის სიზმარი, რომელიც ძალზე მკრთალად გვახსოვს. აუხდენელია კიდევ სიზმრები, რომლებიც ნაოცნებარ სურათებს იმეორებენ, კიდევ ისეთნი, რომლებშიც კოშმარია შემოპარული.

სიზმრების ახდენა ნაწილობრივ დამოკიდებულია მთვარის რიცხვზე. აქვე განვმარტავ, რომ მთვარის იმ რიცხვებში, სადაც აღნიშნულია სიზმრის კეთილად ახდენა, ადამიანმა ცუდი სიზმარიც რომ ნახოს, იგი იმ სიმწვავით და მნიშვნელობით არ ახდება, არამედ შერბილდება, მცირე ზარალზე ან ზიანზე გადაივლის. მთვარის იმ რიცხვებში კი, სადაც ნაჩვენებია სიზმრის მარტივად ახდენა, სიზმარი ჩვეულებრივ ახდება თავისი მნიშვნელობით: კარ-

გი — კარგად. ცუდი — ცუდად. ხოლო იქ, სადაც მთვარის რიცხვი გვიჩვენებს სიზმრის სიყალბეს, არახდენას, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ ახდება არც კარგი და არც ცუდი სიზმარი.

ცუდ სიზმრებს უფრო უვნებელყოფენ წმიდა ღვთიური დღეები, საუფლო დღესასწაულები, — ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას ნანახი სიზმრები კარგავენ თავიანთ სიავეს. ამ დღეებში ნანახი ბოროტი სიზმარი შეიძლება არ ახდეს ან ახდეს მსუბუქად. ასევე ითქმის სხვა სადღესასწაულო დღეებზეც.

*— ზოგჯერ ერთსა და იმავე სიზმარეულ სახეს ერთნი კარგად ცდიან, მეორენი - ავად. რა პრინციპი მოქმედებს ამ შემთხვევაში?*

— სიზმრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა დაცდა. იგი ინდივიდუალური გამოცდილებაა და შეიძლება ყველასთვის ერთნაირი არ იყოს. ზოგს უყვარს შავი ფერი და კარგად აქვს დაცდილი, ზოგს კი - პირიქით. ასევეა პიროვნებებიც - ვინც გვიყვარს და პატივისცემით ვართ მათდამი განწყობილი, მათი ნახვა სიკეთეს მოგვიტანს...

*— შესაძლებელია თუ არა, თავიდან ავირიდოთ სიზმრით ნაუწყები მოსალოდნელი საფრთხე?*

— სავსებით შესაძლებელია, - თუ ღმერთს გულმხურვალედ ვევედრებით, მოსალოდნელი და მოულოდნელი საფრთხე აუცილებლად განქარდება. ასე სწამს ქრისტიანობას, - არტემიდორე კი, როგორც წარმართი ფილოსოფოსი, არაფერს ამბობს, თუ როგორ შეიძლება სიზმრებით უწყებული საფრთხის აცილება. მას ბედისწერასავით სწამს სიზმრის გარდაუვალობა. როგორც ჩანს, წარმართობაში ადამიანები კოშმარულ ჩვენებათა მონები ხდებოდნენ.

*— ზოგჯერ ადამიანი მსგავსი შინაარსის სიზმრებს ხედავს გარკვეული დროის მანძილზე...*

— დიახ, ამას სიზმრის სერიები ეწოდება და ახდენის უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ერთხელ ნანახ სიზმართან შედარებით. სერიული სიზმრები შეიძლება ინახოს რაიმე დიდი საფრთხის ან დიდი წარმატების საწინდრად.

სერიებმა შეიძლება ერთს ბედნიერება მოუტანოს, მეორეს კი - უბედურება. ერთი ჩემი ახლობელი სულ კარგ სიზმრებს ხედავდა და მალე დააწინაურეს; მეორეს კი სულ სიბნელე და უფსკრულში გადაჩეხვა ეჩვენებოდა და დაიღუპა.

ასე რომ, სერიებში გამაფრთხილებელი ზარიც ჟღერს და უნდა გულისხმევით ვევედროთ განგებას.

*— სიზმრის რომელ სახეებს შეიძლება მივენდოთ?*

— სიზმარში ყოველ საგანს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ერთი უფრო ძლიერია, ვიდრე მეორე. მაგალითად, ანკარა წყაროს წყალი ძალიან კარგია, მაგრამ ცხენის გაჭენება - უკეთესი. თუ შევჯექით ცხენზე და გავაჭენეთ, ჩვენს მიზანს აუცილებლად მივაღწევთ, მაგრამ თუ გზაში შეგვხვდა წყარო და წყალი არ დავლიეთ, რაღაც სურვილს ვერ შევისრულებთ. ამ შემთხვევაში ცხენი უფრო ძლიერი სახეა, ვიდრე წყაროს წყალი - ცხოვრების მიზნის მიღწევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაიმე სურვილის ასრულება.

თუ გვესიზმრება, რომ თეთრით ვართ შემოსილი, არემარე დათოვლილია, ან მოციქულებს და ანგელოზებს ვესაუბრებით, ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ ღვთის მფარველობაში ვიმყოფებით.

მთაზე ასვლა ან სიმაღლეზე დგომა წარმატების მაუწყებელია. დიდი მდინარის გადალახვა დიდ დაბრკოლებათა ძლევას ნიშნავს.

სიზმარში შეძლება ბევრი კოშმარი და საშინელება ვნახოთ, მაგრამ იმ დღეებში თუ ვნახეთ დათოვლილი მიდამო, თოვლი და თოვლზე სიარული, ყოველივე ცუდი განქარდება.

ასევე, შეიძლება, მრავალი საშინელი ჩვენება და ზმანება აგვეკვიატოს, მაგრამ თუ იქვე ვიხილეთ ჯვარი, ყოველივე ბოროტეული იძლევა და ცუდი არაფერი შეგვემთხვევა.

ჯვარცმა სიკვდილმისჯილმაც რომ ნახოს, უვნებელი გადარჩება.

აი, ასეთი სიზმრები მოგვფენენ ხოლმე ნუგეშს და შეიძლება მივენდოთ, რადგან ყოველგვარი კოშმარისაგან გვიხსნიან.

*— როგორ გავერკვეთ სიზმარეულ სიმბოლოებში?*

— სიზმრის შინაარსი წინააღმდეგობრივია, - ზოგჯერ გვინდა დავლიოთ წყალი, მაგრამ ამოვიღებთ ჭიდან და ჭურჭელი ცარიელია, ან ვერ ვახერხებთ დალევას, ან მღვრიეა და ჩვენ თვითონ არ ვსვამთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რაღაც სურვილს ვერ ავისრულებთ.

სიზმარში შეხვედრილი წინააღმდეგობა აუცილებლად უნდა გადავლახოთ, - სიცხადეში მათი არგადალახვა საერთოდ არაფერია, მაგრამ სიზმარში გადაულახაობა საქმის ჩაშლას ან გადადებას მოასწავებს. - თუ მივადექით მდინარეს, რამენაირად უნდა გავიდეთ მეორე ნაპირზე. არა და ვერ ვძლევთ იმ დაბრკოლებას, რაც სინამდვილეში წინ გველობება.

მდინარესთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სხვა მოქმედებებიც: თუ შევედით წყალში და ვერ მივაღწიეთ მეორე ნაპირს, ან უკან გამოვბრუნდით, მაინც ვერ ვძლევთ დაბრკოლებას; ხოლო თუ შევედით მდინარეში, ძლიერ დავსველდით და ისე გავაღწიეთ გაღმა, ეს უარესია, - მთლად უარესია, თუ წყალმა წაგვიღო, ამ შემთხვევაში მდინარეში არ შესვლა სჯობდა.

ერთ ჩემს ახლობელს სამამულო ომში ესიზმრა, რომ ის და მისი მეგობარი აღელვებულ მდინარეში შევიდნენ, მეგობარი წყალმა წაიღო, თვითონ კი გავიდა სამშვიდობოს, მაგრამ ცალი მკლავი დაუსველდა, - სულ მალე მისი მეგობარი დაიღუპა, თვითონ კი მკლავნაკლული დაუბრუნდა ოჯახს.

ვთქვათ, სიზმარში მივადექით რომელიმე სახლს და გვსურს შიგ შესვლა, - ეს კარგია, მაგრამ თუ სახლში სიბნელეა, სჯობს არ შევიდეთ. შესვლა უკვე მწუხარებაზე მიუთითებს. თუ სახლში სინათლეა და არ შევალთ, რაღაც სიხარულსა და სარგებელს ვკარგავთ.

თუ ხიდს მივადექით და არ გავედით, ცუდია, - გასვლა სჯობდა მიზნის მისაღწევად, მაგრამ თუ ხიდზე შევდექით და ჩაგვიტყდა, უარესია, - გვიმტყუნებს საქმე და მიზანი. თუ ხიდი ჩაგვიტყდა და მაინც გავედით წვალებით, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი დანაკლისის ფასად მაინც მივაღწევთ ჩვენსას, თუმცა პატივსა და სახელს დავკარგავთ.

ასე რომ, უნდა გვახსოვდეს - სიზმრის ყოველ მომენტს გარკვეული მნიშვნელბა აქვს. თუმცა ყველაზე მთავარი ბოლო მომენტია, ე.ი. გაღვიძებამდე რა მდგომარეობაშიც ვიყავით, როგორც გვახსოვს სიზმარი, ისე უნდა ველოდოთ მის აცხადებას. უკეთუ შევჯექით ცხენზე, ვიარეთ, ვაჭენეთ კიდეც და ბოლოს ცხენიდან ჩამოვედით და სადავე სხვას გადავეცით, ან გავუშვით ცხენი, ეს მიზნის მიუღწევლობას ნიშნავს, თუმცა ბევრი ხელისშემწყობი პირობა გვქონდა...მიზნისათვის რომ მიგვეღწია, გამოღვიძებამდე უნდა ვმჯდარიყავით ცხენზე.

*— ე.ი. ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა სიზმრის ბოლო მომენტს ჰქონია.*

— დიახ, ეს ასეა, მაგრამ მარტო სიზმრის იმედით ყოფნაც არ ეგების.

*— გმადლობთ.*

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

ესაუბრა *ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი*

*მთვარის ცხრილი იხ. მე-10 გვერდზე:*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარის განახლების I დღეს ცუდი სიზმარიც რომ იყოს, კარგად ახდება. მთვარის განახლების II დღეს სიზმარი სამ დღეზე ახდება.

მე-3 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-4 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-5 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-6 მთვარეზე — წლის თავზე ახდება.
მე-7 მთვარეზე — ნანახი სიზმარი ტყუილია.
მე-8 მთვარეზე — 8 დღის შემდეგ ახდება.
მე-9 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-10 მთვარეზე — ტყუილია, არ ხდება.
მე-11 მთვარეზე — ნანახი სიზმარი ახდება.
მე-12 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-13 მთვარეზე — კარგად ახდება.
მე-14 მთვარეზე — ნანახი სიზმარი ამავე დღეს ახდება.
მე-15 მთვარეზე — ახდება ჩვეულებრივ.
მე-16 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-17 მთვარეზე — ამავე დღეს ახდება.
მე-18 მთვარეზე — ტყუილია.
მე-19 მთვარეზე — კეთილად ახდება.
მე-20 მთვარეზე — ტყუილია.
21-ე მთვარეზე — ტყუილია.
22-ე მთვარეზე — ახდება ჩვეულებრივად.
23-ე მთვარეზე — კეთილად ახდება.
24-ე მთვარეზე — ტყუილია.
25-ე მთვარეზე — ტყუილია.
26-ე მთვარეზე — ცხადად ახდება.
27-მთავარეზე — ტყუილია.
28-ე მთვარეზე — სამ დღეზე ახდება.
29-ე მთვარეზე — ნანახი სიზმარი კარგია, კეთილია.
30-ე მთვარეზე — ტყუილია.

## პრაქტიკუმი მშობლებისათვის



# უმცროსი შვილი

ოჯახებში, სადაც რამდენიმე ბავშვი იზრდება, მშობლები, როგორც წესი, უმცროს ბავშვს ისე ექცევიან, როგორც ყველაზე საყვარელ არსებას. თანაც მის მიმართ სინაზეს მარტო სიტყვებით როდი გამოხატავენ. მაშინაც, როცა ბავშვი წამოიზრდება, მას პატარასავით ექცევიან. ამგვარი დამოკიდებულება ნაბოლარა შვილისადმი განსაკუთრებით იმ ოჯახებში შეინიშნება, რომლებსაც უფროსი შვილები კარგა მოზრდილები ჰყავს და უმცროსი რამდენიმე წლით გვიან დაიბადა. თანაც მარტო მშობლები კი არა, უფროსი და-ძმანიც ანებივრებენ უმცროსს, რადგან მასში პატარა ასაკის გამო მეტოქეს ვერ ხედავენ.

თუმცა ბავშვი იფერებს ამ საყოველთაო სიყვარულს, მაგრამ სურვილიც უმტკიცდება სხვაზე იყოს დამოკიდებული. სანამ პატარაა, ბედნიერად გრძნობს თავს, მაგრამ წამოზრდილი ეჭვიანი და მოუსვენარი ხდება. ეს მდგომარეობა საცნაური ხდება სკოლის ასაკში, ან უფრო გვიან და შესაძლებელია ასეთ ბავშვს დიდხანს გაჰყვეს სხვაზე დამოკიდებულების კომპლექსი. სხვათაშორის, არც ზრდასრულ ადამიანებშია იშვიათი, როცა მათ კი სიამოვნებთ პრივილეგიები, რასაც თანამდებობრივი მდგომარეობა აძლევთ, მაგრამ ბევრად უკეთ გრძნობენ თავს, თუ მათ მაგიერ სხვები მოქმედებენ და იღებენ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს.

თუმცა პრობლემა ძალზე მწვავე არ არის, მაგრამ სჯობს ვეცადოთ მისი არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას. აუცილებელია, გავამხნევოთ ბავშვი, როცა მას შეშფოთებას შევატყობთ, მაგალითად, როცა პირველად მიდის სკოლაში და, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულია, უნდა ავუხსნათ, რომ მისი ძმებიც მის ასაკში წავიდნენ პირველ კლასში და არაფრის შეშინებიათ.

უმცროსი შვილის შინაშე ფსიქოლოგიური პრობლემაც დგას ხოლმე. თუ მასა და მის და-ძმას შორის ასაკში დიდი განსხვავებაა, უმცროსი აღმოჩნდება ხოლმე არა ორი, არამედ რამდენიმე ავტორიტეტის წინაშე. ეს გარემოება არა მარტო ბავშვობას უხანგრძლივებს, ერთგვარ მტრობის ან სასოწარკვეთის გრძნობასაც ჰბადებს მასში. როცა წამოზრდილი და-ძმასთან შეჯიბრში მარცხდება, რადგან უმცროსი და გამოუცდელია, ინსტინქტურად უკან იხევს და ურჩევნია, ისევ „პატარობის“ საფარს ამოეფაროს.

მშობლებს შეუძლიათ განვითარების სიძნელეები შეუმსუბუქონ ყოველ შვილს-უფროსებსაც და უმცროსებსაც, თუ მოქნილობას გამოიჩენენ აღზრდაში. შეუძლებელია ყველა შვილთან ერთნაირად მოქცევა, თუმც საზოგადოებრივი აზრი ამას ჩაგვჩიჩინებს. ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და მშობლებიც განსხვავებულად უდგებიან მათ. ჩვენ ყველა მათგანი ძალიან, მაგრამ სხვადასხვანაირად გვიყვარს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს წინაშე დასმულ უამრავ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს.

მაგალითად, თუ ერთი ბავშვი ტირის, რადგან სათამაშო წაართვეს, ჩვენ ხელში ავიყვანთ და მოვეფერებით, ის გაიღიმებს და ტირილს შეწყვეტს, მისი და კი ამ შემთხვევაში სულ სხვანაირად იქცევა და მოპყრობაც სხვანაირი უნდა. ერთსა და იმავე პრობლემას სხვადასხვა ბავშვთან სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება.

უმცროსი შვილი, ცხადია, მეტ ალერსსა და ზრუნვას საჭიროებს. უფროსებს ამდენ დროს უკვე ველარ ვუთმობთ, მაგრამ აქ შეიძლება სასურველს გადავაჭარბოთ. უმჯობესია, თუ მშობლები უპირველესად უფროს შვილებზე იზრუნებენ.

არ შეიძლება დედ-მამამ უფროს შვილებს ნაკლები ყურადღება მიაქციონ იმის გამო, რომ ისინი მეტ დროს ატარებენ სახლს გარეთ, ამხანაგებთან. ასეთ შემთხვევაში უმცროსიც არ იგრძნობს თავს გარიყულად, რადგან ყურადღება არც მას მოაკლდება, განსაკუთრებით უფროსი და-ძმის შინ არ ყოფნის დროს და უმცროსი ეცდება მათი ადგილი დაიკავოს ოჯახურ იერარქიაში, რასაც მშობლების გარდა უფროსი შვილებიც შეუწყობენ ხელს.

*ალან ფრომის „ანბანი მშობლებისათვის“ მიხედვით*

# ნევროზის „სადარაჯოზე"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ახლობლის სანახავად საავადმყოფოში მივედი. ვხედავ, ერთი ექიმი გახარებული მოდის. მეორე ეკითხება: რა ხდება, ხელფასებს ხომ არ არიგებენ?

— უკეთესი, — პასუხობს გახარებული ექიმი. — პაციენტი ვიშოვე.

— აბა, რაღა გიჭირს. — აშკარად შურით დაადევნა სიტყვა უპაციენტო ექიმმა.

ქვეყანა ომის იარებს იშუშებდა. ბევრს სჭირდებოდა ექიმი და მკურნალობა, მაგრამ უსახსრობის გამო ექიმთან მისვლაზე მხოლოდ ოცნებობდნენ.

ვინ მოთვლის, რამდენი სატკივარი დაუგროვდათ, ადამიანებს, ახლაც რომ აწუხებთ, სტკივათ და მკურნალობას საჭიროებს.

კიდევ ერთი ექიმის სიტყვები მახსენდება: — ამ ბოლო დროს საქართველოში იმდენმა პათოლოგიამ იჩინა თავი, რომ ხშირად არც კი ვიცით, საიდან დავიწყოთ მკურნალობაო...

ესლა გვაკლდა...

ამჯერად ჯანმრთელობის ერთ კერაზე გიამბობთ, სადაც საქმის ერთგული ჭეშმარიტი პროფესიონალები მუშაობენ და სადაც, მიუხედავად ათასი სიძნელისა მაინც სრულფასოვნად მკურნალობენ პაციენტებს.

1920 წელს თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორმა სიმონ ყიფშიძემ დააარსა ნერვულ-სნეულებათა კათედრა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ნევროლოგიის სკოლას და საერთოდ საქართველოში ნევროლოგიურ აზროვნებას. კათედრაზე მოღვაწეობდნენ ცნობილი ნევროლოგები: პეტრე ქავთარაძე, საშა რუხაძე, სოფიო ენუქიძე, პეტრე სარაჯიშვილი.

სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოში ნევროლოგიის სამი უდიდესი კერა — სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრა, ნევროლოგიის ინსტიტუტი და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი არსებობს.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მრავალი წელია ნაყოფიერად ფუნქციონირებს ნერვულ სნეულებათა კათედრა, რომელსაც სიმონ ყიფშიძის შემდეგ ნევროლოგიის კორიფეები აკად. პეტრე ქავთარაძე, პროფესორი ალექსი მინდაძე და პროფესორი ავთანდილ ლაჭყებიანი ხელმძღვანელობდნენ.

მათ მდიდარ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებს ენერგიული, საქმის მცოდნე, ოპტიმიზმითა და იმედით აღსავსე ქალბატონი ნინული ნინუა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სამხედრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოციალური და მედიკობიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის ნევროლოგთა ასოციაციის ნამდვილი წევრი.

ორი შვილის და ხუთი შვილიშვილის ბებია ოჯახშიც შეუცვლელია. ერთადერთი დროის ნაკლებობას განვიცდიო, ამბობს ღიმილით, თუმცა, მის მართლაც საათივით აწყობილ საქმიანობას რომ გავეცანი, დროის დეფიციტი ვერსად შევიგრძენი. არაჩვეულებრივად უთავსებს ერთმანეთს პედაგოგიურ და კლინიკურ საქმიანობას. საქართველოში თითქმის ყველა ახალბედა ნევროლოგი ქ-ნ ნინულის ხელში იზრდება და ყალიბდება.

კათედრაზე ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო საქმიანობა. აქ გადიან პრაქტიკას სამკურნალო, ფსიქო-სომატური, სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც სტუდენტები პირველ ნაბიჯებს დგამენ ნევროლოგიაში. კათედრის პრესტიჟზე ისიც მეტყველებს, რომ თანამშრომლებს ხშირად იწვევენ გამსვლელ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სისტემატურად ტარდება ჰუმანიტარული აქციები ქ-ნ გულიკო ჩაფიძის მონაწილეობით. ცოტა ხნის წინათ ვანის რ-ნის მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო გამოკვლევები,დაენიშნა მკურნალობა, დაურიგდა მედიკამენტები.

— ორ დღეში სამასამდე პაცინტი გავსინჯე, — თქვა ქ-ნმა ნინულიმ.

*— რა პათოლოგიები შეინიშნება დღეს საქართველოში?*

— ძალიან ხშირია სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევები, ანევრიზმები, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა. ეს დაავადებები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ვითარდება და სტრესები, უიმედობა ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის. დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა პაციენტთა რაოდენობა შემცირდა. უფულობის გამო ხალხს უჭირს ექიმთან მისვლა. ამის გამო შევქმენით დღის სტაციონარი. ავადმყოფს დღის მანძილზე უტარდება მკურნალობა და ბრუნდება სახლში. კლინიკაში კი წვება ისეთი ავადმყოფი, რომელიც გადაუდებელ თერაპიას საჭიროებს. გაიხსნა ინტენსიური თერაპიის პალატა.

*— რა პრობლემებზე მუშაობს დღეს კათედრა?*

— დღეს ნომერ პირველ პათოლოგიას წარმოადგენს თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა და ეპილეფსია. კომპიუტერული ნეიროვიზუალური მეთოდის დანერგვით შესაძლებელი გახდა აქამდე უცნობი ნევროლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა. ამდენად, მოგვეცა ზუსტი დიაგნოზის დასმის საშუალება. ჩვენს მედიკოსებს კავშირი აქვთ ცნობილ



ნერვულ სნეულებათა კათედრის თანამშრომლები

საზღვარგარეთელ ეპილეპტოლოგებთან. უახლოეს ხანში მათ მოწვევას ვაპირებთ საქართველოში. ერთად განვიხილავთ პრობლემურ საკითხებს როგორც პროფილაქტიკის, ისე მკურნალობის დარგში.

*— დღეს არანაკლებ „პოპულარულია" ნევროზიც.*

— აქამდე ნევროზი ითვლებოდა როგორც ფუნქციონალური დაავადება, მაგრამ უკანასკნელი წლების დაკვირვებებით დადგინდა, რომ ყველა ნევროზს საფუძვლად თავისი ორგანული მომენტი უდევს, რომელიც დამატებით რისკ-ფაქტორთან რეალიზდება. დღეს ფსიქოლოგიური სტრესების გარემოცვაში ნევროზებმა თავის ორგანულ საფუძვლებთან ერთად იჩინა თავი. საქმეს ისიც ართულებს, რომ ნევროზით დაავადებულებს მკურნალობასთან ერთად სოციალური გარემოს მოწესრიგებაც სჭირდებათ, რაც დღეისათვის თითქმის შეუძლებელია.

*— არნახულად განვითარდა სამედიცინო ტექნიკა, რისი წყალობითაც სასწაულებს ახდენენ. რა სიახლეებია თქვენთან დანერგილი?*

— ჩვენს კათედრაზე იაპონელებმა შემოიტანეს და დაამონტაჟეს კარდიოგრაფები და ენდოსკოპიის აპარატურა. ფუნქციონირებს კომპიუტერული ტომოგრაფია, ელექტროენცეფალოგრაფები, ელექტრონეირომიოგრაფი.

*— ორიოდე სიტყვა წამყვანი თანამშრომლების შესახებ?*

— თითოეული თანამშრომელი გამოირჩევა საქმის ცოდნით, ერთგულებით და სიყვარულით, ასე რომ, ნება მომეცით, ყოველი მათგანი ჩამოვთვალო, რითაც ჩემს მადლიერებას და პატივისცემას გამოვხატავ. ესენი გახლავთ პროფესორები რეზო სიგუა და გოგა ლაჭყეპიანი, დოცენტები ჯანო ვალიშვილი, ომარ სამუშია, არჩილ საყვარელიძე, ლალი ღლონტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები ნათია ოკუჯავა და მანანა გორდეზიანი, ასისტენტები ცირა მანჯგალაძე და დათო ბათიაშვილი, ლაბორანტები ია რუხაძე, მარინა დიდიძე, ნანა ცანავა და ნიკა მალაშხია.

ქვეყანას უჭირს და ჩვენ ვალდებულნი ვართ მაქსიმალურად დავიხარჯოთ მის საკეთილდღეოდ.

*მარინე ნაკაიძე*

თარგმნა
ნარგიზა მგელაძე

კორნეი ჩუკოვსკი



მხატვარი
ცინარა ტერელაძე



არაფრის გულისთვის,
პაწაწკინა ბავშვებო,
არ იქნება თქვენი
აფრიკაში გასვლა.

საშიში მხეცები
ჯუნგლების სახლია,
ბევრი დინოზავრია,
რომ ხვრინავს ისე.

ყველა აღრიალებს,
ყველა იკბინება,
არ გაიწყრეთ, არ გაიწყრეთ
იქ გასეირნებას.

წყალში ზვიგენია,
ვერც ივლი იმღერია.

ნიანგი თუ მიგყვება,
კარგს არაფერს დაგიმართებს,
გორილა რომ აღრიალდება,
გულსაც გადაგიტრიალებს.

მიდის არასოდეს
არცერთი ბავშვი
სასეირნოდ წასული
არ უნდათ აფრიკაში.
ნურც გვინდა, ნურც გვინდა,
ვერტმფრენით, ნურც რაშით,
ნუ წავალთ, ნუ წავალთ,
ნუ წავალთ აფრიკაში.

ყველაზე საშიში
ერთი ამბავია,
ბოროტი ყაჩაღი
ბავშვებისთვისაა.

დღის აჩრდილებს
და ღამის აჩრდილებს,
ნაპირის დაცვებს,
დამწვარს და ლანდებს,
ბოროტი ყაჩაღი
სად ხარ, შენ, შენ?
ბავშვებისთვისაც
ცუდი ბარმალეი?

უნდა შემოძღვეს
რამდენი ხანი
ქვეყნის არაფერი
ვანის და ტანიას.

აფრიკა შორია,
აფრიკა ავია,
ო, რა საშიშია,
რა საშინელია!

მშობლებს დაეძინათ,
მამა და დედა,
არა ტკბილადაც,
არ უნდათ აფრიკაში.

დედას დაეძინა,
მამასაც ჩაეძინა,
ბავშვებს ეჩქარებათ,
გაიქცნენ სახლიდან.

ვინის მერე რომ გაიქცნენ,
შეძლებს ტანია,
გაიხედეს, სად მიდიან?
სად და — აფრიკაში.

ლეკვები და ფრინველი
სახლში იფრინა,
მოწყენილი რაც ჯერ
ისევ რაც ჯერ.

ცხენიდან შეასხეს
და კარგა ხანი
მარტოობით დადიან
ვანი და ტანია.

ვინდამ მარტოობისას
გადაეწყვიტა ნიანგის
სახლიდან თამაშზე
ტაიჯებლობისა.

გაუყვირდა ბავშვებს რომ
იქიდან მოძრაობა შორიდან,
მიმორბენენ გორილას
წინაშე გორილამ.

რა უნდოდათ ნეტავ
ბავშვებს აფრიკაში?
უნებლიედ მოხვდნენ
კროკოდილს ყბაში.

კროკოდილი ზვიგენია,
მტრულადღებში ლეგენია,
ზარმაცი კბილები აქვს,
ტანი შავი ზღვის ფერია.

ამ წუთშივე გადაჰყლაპა
რას უყურებენ ისე უცნაურად?
კროკოდილს ითხოვ ბავშვი
არ უყვარს ითხოვ ლეკვს.

აფრიკაში ბატონები
ნაბიჯებით მატარებლით,
მაგ ფრინველის ნეტავ
ოფლში
რომ არ ეკიტრიალებოდე?

მაგ შენს თავს კროკოდილის
დაუყენებია ყურადღებით
გამოჩნდება რა წყალსაც
თავში ნაცვლები აქვს,
თუმცა კი ამჯერად
არც ჩვეწ ვინმე ჩადგება.

მე ისეთი ლურჯ მაქვს,
და ისეთი ზურგი მაქვს,
ეს ჭაობში თუ ჩავარდები
ხელ დაკარგავს ვინებას.

ამ შემზარავ კროკოდილმა
თავი იცნობა დაკარგულმა,
შემოირბინა ცუდი თავში
და ნაწილში შუაგულ ზღვაში.

დარწყლა ნაჭრა ვარაყა
რა რიგ გამჭრიახია,
ზვიგენზე კი ნამდვილად
იქ ნაპირზე არაა.

ქაოსებში მიუხლოვდებს,
მოლაყბეებს, მოაბრკოლებს,
თვალებს ჭრის როგორც
ჭიქა,
დრუნჩიანი მეტისმეტი.

იქ მიდის ტანია,
ნიჩ, რა დიდია!
ტყეებში მოიწყინდა
ნამდვილი მამა!

გარეკე სიცილით
მგლებს ეძახის დაიწვის,
ზღვაში ბურნუთი
წარბებში წკარუნის.

და გაიქცა მეტისმეტი
წავიდა ვერ და ვერ დამალა,
ბარმალეის მიუგდია
და იქიდან აღრიალა:
ნახეთ ტყეში რა ზღვაა,
ყველა თავზე გავიხედეთ,
რა მაკრების ახლებზე,
თოთოხრული ბალღებზე,
სად ხარ და რას შვრები,
შენ, ბარმალეი!
მიდის გადაიხარა

თავზედა ბავშვები,
მიდის ბარმალეი,
მოდი ბარმალეი!

ნაწილი მეორე

მაშინ კი ბავშვებსაც
აუწყვიათ კრიალა,
როგორ დაიწყებს
ყურადღებით ზარმაცი.

დედამიწის ოქეანე
ზარმაცი და ზანზალაკი
ნიორით მოაღლაპუნებდა
მის ფეხქვეშ ტყე ოქროსფერს.

ჯუნგლებში მოყვარე
შეუდგა წინადღე
აფრიკის ყაჩაღი ახსნას
დროდადრო
„ბოროტი და სისხლისმსმელი
მე გახლავართ ბარმალეი
არ მინდა არც მარმელადი
არ მინდა არც შოკოლადი
შემიძლია ერთ ჯამში
გადავსანსლო ბავშვი ათი“.

სამხრეთის აჩრდილებს თვალებს
სამხრეთის აწვდიანებს ბარს,
სამხრეთ კიდეებს აჩრდილებს.
მარიდან დღევანდელ ხელს.
ხელში ზღაპრის სამხრეთის
იასის სიტყვებს.
თითქოსდა დილიდან
ისრიდეს ჭკვაზე
„კარგადაა, ამ ბალღებით
ახლა სადილს გავიხმევო“.

და აკივლდნენ ბავშვები
მაგ კოკო რას შვრები,
რაღაც მარადი ნაყვებსაიცოთ,
შენს სახლებს ვერ ჭამდით?

ბავშვებს ეშველა შენი,
ბავშვებს მაინც შენი,
ბავშვი იქნა ადარ ვუნდა
აფრიკაში თამაში.

ილაჯი ახლა აუყვირა,
ილაჯი სახლში გაუშვია,
თითო ბავშვი, თითოეულს
გამოაფხიზლებს ახსნისას.

ავაზაკი აღრიალდა:
არა, არა, არა, არა!
ბავშვი ერთ ცაში.

დიდი ნაწყვეტი წაიღეს თუ გაუფრენდა
წინ ვარსკვლავის თავდამსხმელობის
...
...
მძლავრ სადილზე.

ცოცხალი აყვანის მოდით სეირს
მოდის ავიაკნებს,
კვიცის კვიცი
ბავშვების ჭამა,
ყველაში შერჩა და
ყველაში ჯერ არა.

მარტოსულ ბავშვებთან,
ზღვის მოიწყვეს ბავშვებს და
ყველას ეჩქარება
ბავშვების ამბავს.

მარტოდ ავაზაკი
ზღვის სტუმრებს ჭამს და
წყალში ჩაიტყუებს
მთის ფრინველს ეხმარება.

მოსული ჭამა
ბრაზის მეზობლად,
და ფეხსაცმელი
ცეცხლზე ამომრავლდა.

დაბნეული ბავშვები
ტანის მამასვე,
ავაზაკის შეხსენებული
გაუქცევიათ ბარი.

ჩვენ რა დაგვემართა,
ჩვენ რა შეგვემთხვა.

ნაწილი მესამე

ნაპირის წყალუხვად
გამოჩნდა გორილა,
გორილას ნიორი
მიაყოლა შორიდან,
კოდალა ჭამა იასის ცეცხლი.

ძალა:
ბავშვებისთვის ნიორი ოქროსფერი
მხედი მაქვს,
ახსენით ბავშვები,
ახსენით ბავშვები,
ახსენით ბავშვები ამ
ავაზაკისგან!

ახლავე ნაპირისკენ
და ჩემი სახლისკენ
რომ ყველას დაიჭერს
მაგრამ მარტოდ.

ო, როგორ ეწევიან,
ნიორმა იწვინა,
ბავშვებს არ შეეხოს,
ეს ერთი წამოხტა.

თვითონ ნიორმა,
ნამდვილად თვითონ,
გადაყლაპა როგორც შეჭამა,
აღარ არის თქვენი მტერი,
ბოროტი და სისხლისმსმელი
საშინელი ბარმალეი.

ბედნიერი ნიორი,
ღელავს, ღელავს,
ბავშვები კოცნიან
ცეცხლს მიუწვდნენ.

რა კარგი დღე არის,
რა კარგი დარია,
დედა მოუცდიდა
ბავშვებს, ბავშვებს.

კოდალა ჭამა,
ბავშვებს რაღაცა შენ,
გამოიყვანეს გადაგვერჩენილი
შინისაკენ ქალაქში.

მაშინ თავისუფალი
რამდენი ხანი,
შინ მივიდნენ
ვანი და ტანია.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაჩვეულებრივი სიყვარული

**1999** წლის 13 სექტემბერს, ნიუ-იორკში, კარნეგი ჰოლში ვახტანგ ჟორდანიას დირიჟორობით სიმფონიური მუსიკის კონცერტი ჩატარდა. როგორც აფიშამ აუწყა ფართო საზოგადოებას, კონცერტი თბილისში 1 სექტემბერს გარდაცვლილი ქალბატონის ლია ლომინაძის ხსოვნას ეძღვნებოდა.

ვახტანგ ჟორდანია კარგად იცნობდა გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელის ჯუმბერ ლომინაძის მეუღლეს ქალბატონ ლიას, მეგობრობდა ამ სტუმართმოყვარე ოჯახთან, ყოფილა მათი სტუმარიც და მასპინძელიც.

ამერიკაში ლომინაძეები არაერთხელ ჩასულან, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებს, ფიზიკოსებს, ასტროფიზიკოსებს, კოსმონავტებს, სენატორებს, კონგრესმენებს, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებს შეხვედრიან და პირველი, რითაც ისინი მოხიბლულან, იყო მათი შეხმატკბილებული, მეგობრული ოჯახი, გაუხუნარი, დროისგან ფერშეუცვლელი დიდი სიყვარული. ამერიკაში ლომინაძეები ხშირად ყოფილან იმ მრავალწლიანი სამეცნიერო კონტაქტების წყალობით, ბატონ ჯუმბერს რომ ჰქონდა დამყარებული უდიდეს სამეცნიერო ცენტრებთან. ხოლო სადაც ჯუმბერი იყო, ლიაც იქ იყო. ისინი არასდროს დაშორებიან ერთმანეთს. „ჩვენ ერთნი ვიყავით, ერთნი", – ხმაში შეპარული დიდი მწუხარებით ამბობს ბატონი ჯუმბერი.

მაშინ კი როცა ჯუმბერი მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, არაფერი ახსოვდა ფიზიკის გარდა და უცბად გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმნდობი სახის სიფრიფანა ქალიშვილი მშვიდი, მოსიყვარულე დიდი თვალებით და იშვიათი კეთილი ღიმილით.

და მაშინ ყველაფერი დაავიწყდა. ეს იყო მოსკოვიდან თბილისში მომავალი მატარებლის ვაგონში შეხვედრისას. სამ დღეში ისინი დიდი ხნის მეგობრებივით დაახლოვდნენ, იგრძნეს, რომ იპოვეს ერთმანეთი. თბილისის ბაქანზე დროებით დაშორდნენ. მეორე დღეს ვერის პარკში პირველ პაემანზე მოვიდა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის სტუდენტი ლია კიკაჩეიშვილი. ჯუმბერს ახსოვს, რა ეცვა მაშინ, ან თმა როგორ ჰქონდა დავარცხნილი. იქ, დიდ ქვასთან შეჩერდნენ და ჯუმბერმა პირველი სურათი გადაუღო. მეორე დღეს საერთო მეგობრის ლამარა ვეკუას ქორწილი იყო. ჯუმბერს დააგვიანდა. ხალხი უკვე შეკრებილიყო. ლია მეოთხე სართულის აივნიდან იცქირებოდა, ელოდა... ეზოში შემოსულმა ჯუმბერმა ზემოთ აიხედა. იმ წამსვე დაინახეს ერთმანეთი. ლიას ხელიდან წითელი ვარდი გაუვარდა, ფარფატით წამოვიდა მიწისკენ. ჯუმბერმა ხელი შეაგება, დაიჭირა და ისევ მას აუტანა.

მალე დაქორწინდნენ. ვაჟი გაუჩნდათ. მოსკოვის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში კარგი ოთახი გამოუყვეს. ლექციებზე რომ მიდიოდნენ, პატარა გიორგის სართულის მორიგეს უტოვებდნენ. 1956 წელია. ორი სპეციალისტი მიემგზავრება ურალზე „ჩელიაბინკ 70-ში". ფიზიკოსი, რომელიც გამოცდის შემდეგ თერთმეტკაციან ჯგუფში მოხვდა დახურულ საიდუმლო ობიექტზე გასაგზავნად, სადაც იმ დროს ბირთულ იარაღზე მიმდინარეობდა სამუშაოები, და მისი მეუღლე ამავე ობიექტის სამედიცინო კლინიკის ექიმი. დღეები ისე ღამდებოდა, ვერ ამჩნევდნენ. დაღლილები შინ გვიან ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ასვენებდნენ, უვლიდნენ. თავისუფალ დროს ურალის ბუნებაში, მის ტბებსა და ტყეებში ატარებდნენ. ჯუმბერი ლიას უმშვენიერეს ადგილებში სურათებს გატაცებით უღებდა, დაუზარელ მცოდნე ექიმს სპეცობიექტის უზარმაზარი ტერიტორიის მცხოვრებლები ლიიჩკა ვასილევნას ეძახდნენ.

1957 წლის სექტემბერში კასტლის მახლობლად „კიშტიმის კატასტროფის სახელწოდებით" უდიდესი აფეთქება მოხდა. იგი 32 წლის განმავლობაში საიდუმლოებით იყო მოცული. მაშინ რადიოქიმიურ ქარხანაში 8,2 მეტრის სიღრმეზე 70-80 ტონა მაღალი აქტივობის ნარჩენების საცავი აფეთქდა. რადიოაქტიობა, მართალია, ობიექტის ტერიტორიას ასცდა, მაგრამ ჩელიაბინსკის, ეკატერინბურგის და ტიუმენის რაიონების 23000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დააზიანა.

მეორე დღესვე ლია სამხედრო-სანიტარულ ნაწილთან ერთად დაზიანებულთა დასახმარებლად გაეშურა. რა თქმა უნდა, მაშინ დიდი დამცავი საშუალებები არ ჰქონდათ. ნაბდის ჩექმები ეცვა და მიწას რომ არ შეხებოდა, ფიცარნაგზე დააბიჯებდა. საქმეს რომ მორჩებოდა, ტანსაცმელს იხდიდა, ჩექმებს კი წვავდა. ის მძიმე დაავადება, 30 წლის მერე რომ იჩინა თავი, იქნებ სწორედ მაშინ მიიღო.

1958 წლიდან ლომინაძეები თბილისში არიან, შვილს ზრდიან, სამეცნიერო მუშაობაში იძირებიან, ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობენ. ცალცალკე ალბათ იმდენს ვერცერთი ვერ შეძლებდა, რაც ერთად შეძლეს. ურთიერთსიყვარული ძალას აძლევდა და შეუძლებელს აკეთებინებდა. ბატონი ჯუმბერი 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, ქალბატონი ლია-70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის.

სამეცნიერო საზოგადოებაში კარგადაა ცნობილი ბატონ ჯუმბერის მონოგრაფია ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში, რომელიც „პერგამონ პრესმა" გამოსცა. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა ახალი მიმართულება – პლაზმური ასტროფიზიკა, დაარსდა საერთაშორისო სკოლა ამ დარგში. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა.

მათ უყვარდათ ერთმანეთის მიღწევებზე საუბარი. დღეს ბატონი ჯუმბერი ლიას მეცნიერულ მუშაობაზე სიამაყით საუბრობს, გული წყდება, რომ ვერ მოასწრო გამზადებული სადოქტორო დისერტაციის დაცვა. 1959 წლიდან საფუძველი ეყრებოდა ბავშვთა კარდიოლოგიის განვითარებას საქართველოში და ლია ამ სათავეებთან პირველი დადგა. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ახალშობილ და დღენაკლულ ბავშვთა გულსისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობის კვლევაში. მან

ქართული მწიგნობრობა

ძირფესვიანად შეისწავლა ახტალის სამკურნალო ტალახისა და ურეკის მაგნიტური ველის ზეგავლენა ცერებრალური დამბლისა და პოლიომიელიტის ნარჩენ მოვლენებზე.

46 წელი გაატარა ოჯახში მეუღლესთან და შვილთან ერთად. გაზარდა ორი შვილიშვილი, შვილთაშვილს ელოდებოდა, მაგრამ...

46 წელი მეტად საინტერესოდ და ლამაზად იცხოვრა. არ დაკლებია მნიშვნელოვან მოვლენებს საქართველოსა თუ უცხოეთში. ეს მაღალი გემოვნების ინტელიგენტი ქართლის სოფელ ძალისში, თავის პატარა სახლში გლეხის ქალივით თავწაკრული წლის მოსავალს იმარაგებდა — ხარშავდა ტყემალს, პამიდორს, მურაბებს. სოფლის ხალხში ტრიალი, მათი დახმარება უყვარდა. ლიას გარდაცვალება რომ გაიგეს, ძალისელებმა მისი სახლის წინ დაიჩოქეს.

მეგობრები უყვარდა, მიმოწერა ჰქონდა გენიალურ მეცნიერთან, მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორთან, აკადემიკოს როალდ საგდეევთან. ასევე არ ივიწყებდნენ შეხვედრას პირდებოდნენ ლენინური პრემიის ლაურეატი ოლეგ კროხინი და მისი მეუღლე ნინა, რომელიც ლიამ ამშობიარა „ჩელიაბინკ 70-ში“.

ყველაზე დიდი მეგობარი კი იმ მძიმე დღეებში სულ გვერდით ეჯდა. ბედნიერ დღეებს იხსენებდნენ, ერთმანეთს ამშვიდებდნენ, ეთხოვებოდნენ. „კიდევ კარგი, შენზე ადრე მივდივარ, მე უშენობას ვერ გადავიტანდი“, — უჩურჩულა ძვირფას მეგობარს და მშვიდად დატოვა სალოცავი ოჯახი.

ბატონ ჯუმბერს ისღა დარჩენია, მისი დანაბარები შეასრულოს: ოჯახს უპატრონოს, შვილთაშვილი გაზარდოს და კიდევ, ლიას სახელი უკვდავყოს. 50 წელზე მეტია ფოტოხელოვნებას მისდევს. უმდიდრესი ფოტოარქივი აქვს, რომელზეც მთელი მათი ცხოვრებაა ასახული. თავიანთი არაჩვეულებრივი სიყვარული ბატონმა ჯუმბერმა საჯაროდ გამოიტანა და ეროვნულ გალერეაში ლიას ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა მოაწყო. საზოგადოება გააოცა ამ დიდ მეცნიერის უნიკალურმა, მაღალმხატვრულმა ფოტოხელოვნებამ. რაც მთავარია, ყველამ უსიტყვოდ წაიკითხა მათი ცხოვრების ისტორია: ისინი მარტო როდი ცხოვრობდნენ, ადამიანებთან ერთად შრომობდნენ, დიდ ღირებულებებს ქმნიდნენ. ფოტოებზე მათთან ერთად წარმოჩნდნენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები, კოსმონავტები, მხატვრები, პოლიტიკოსები. აი, ლია მონმარტრზე, ლონდონში, რომში, მილანში, ტოკიოში და სადღა არა, ხალხთან მოსაუბრე, მომხიბლავი ღიმილით. უშუალობით... ლია შვილთან, შვილიშვილებთან ჩახუტებული, ქმრის მხარზე დაყრდნობილი, ხელჩაკიდებულები...

და სანამ ბატონი ჯუმბერი იცოცხლებს, კვლავ ერთად იქნებიან.

***ლია კაკაბაძე***



ურალი- სუნგული



ლია



მილანი-იტალია

# ალერგია და ბინის ეკოლოგია




ისეთი მტანჯველი დაავადება, როგორიცაა ალერგია, ხშირად სულ პატარებსაც ემართებათ.

ზოგს ეს დაავადება მემკვიდრეობით გადაეცემა. მაგრამ ხშირად მემკვიდრეობა არაფერ შუაშია. პრობლემა ბინის ეკოლოგიაა. მაშასადამე, პრობლემის გადაწყვეტის გზა ასეთია: ავზარდოთ ჩვენში ეკოლოგიის ტალანტი.

სპეციალისტები გვაძლევენ რამდენიმე კონკრეტულ და აუცილებელ რჩევას:

- ნუ მოსწევთ სახლში, სამზარეულოშიც კი. გაზის ქურის წვისას აზოტის ჟანგეულების შეერთება თამბაქოს ბოლთან — ძალზე ცუდ კონცენტრაციას იწვევს. საქმეს არ შველის არც სარქმლისა და არც მთლიანად ფანჯრის გამოღება.
- ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც გირჩევთ, ბავშვებს გამჭოლი ქარი აცივებს და ოთახს ნუ გაანიავებთ, ბავშვის ოთახში დამატებითი ქურა დადგითო. საქმე უფრო პირიქითაა.
- დამდგარ, თბილ და ამონასუნთქით გაჟღენთილ ჰაერში მრავლდება მიკროორგანიზმები, რაც ჯანმრთელობისთვის შენელებული მოქმედების ბომბივითაა.
- ოთახის მტვერი — უძლიერესი ალერგენია. ავადობას იწვევენ მიკროსკოპული არსებები — საპროფიტები, რომლებიც ამ მტვერში ცხოვრობენ.
- ხშირად გაამზეურეთ ქვეშაგები. ჯღიბებს ეშინიათ ძლიერი ყინვისაც.
- ხალიჩებიც მზეზე გაფინეთ.
- 5 წელიწადში ერთხელ ბუმბულის ბალიშები შეცვალეთ ახლით. როგორც არ უნდა ბერტყოთ და ამზეუროთ, ბუმბლის სიღრმეში ჯღიბები თავისუფლად მრავლდებიან.
- თვეში ერთხელ იატაკი მორეცხეთ სუფრის მარილის 20%-იანი ხსნარით.
- ყოველ თვეში ძმრის ესენციის რამდენიმე წვეთი ჩაასხით პოლიეთილენის პარკში, ჩააწყეთ შიგ სახლის ფეხსაცმელები და მთელი ღამე გააჩერეთ. ეს დახოცავს მწერებს.
- სააბაზანოში ნუ დაუშვებთ ზედმეტ ტენიანობას, რადგან ასეთ პირობებში მრავლდება სოკოალერგენი.
- ხშირად და საფუძვლიანად გაანიავეთ ბინა.
- თუ შესაძლებლობა გაქვთ, შეიძინეთ ოთახის ჰაერის გასაწმენდი სპეციალური ხელსაწყო.

## გვიპასუხებს ექიმი

*– რატომ ტკივა კბილები ხშირად ჩემს პატარას? ექიმმა მითხრა, კალციუმი აკლიაო. რომელი პროდუქტები შეიცავს ამ ნივთიერებას?*

– კალციუმს ყველაზე უხვად შეიცავს რძე და რძის პროდუქტები: მაწონი, ხაჭო, ყველი, არაჟანი, კარაქი. ბევრია ის თევზში, ბოსტნეულიდან – თალგამში.

*– რატომ ამბობენ, რომ საკეისრო კვეთით დაბადებული ბავშვები ჭირვეულები არიან და ცუდად სწავლობენ?*

– მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ „საკეისრო" ბავშვები არაფრით განსხვავდებიან სხვა „ჩვეულებრივი" ბავშვებისაგან.

*– რატომ ძინავს ჩემი წლინახევრის ბიჭს ღია თვალებით?*

– ძილის დასაწყისში ზოგ პატარას თვალები ღია აქვს, მაგრამ ღრმა ძილში წასვლისას, თვალი იხუჭება. ეს საშიში არ არის. ზრდასთან ერთად პრობლემა თავისთავად წყდება.

*– რატომ თვლიან, რომ წყლის მოსმა სლოკინის შეჩერებას იწვევს, თუ ეს მცდარი მოსაზრებაა?*

– ცხადია, წყალი არავითარ წამალს არ შეიცავს. მაგრამ ყლაპვის დროს რამდენიმე ამოსლოკინება გამოტოვებულია და შესაძლოა სულ შეწყდეს. ამიტომ 5-6 ყლუპი წყალი ერთი ამოსუნთქვით უნდა მიიღოთ.

კონკურსი

# დედა-ყველა მშვენიერია

ასოციაცია „ელიტამ“, რომლის პრეზიდენტიც ბ-ნი ნოდარ ქუთათელაძეა – სწორედ რომ სილამაზის აღლუმი მოაწყო მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში.

„ელიტამ“ მანამდე ჩაატარა კონკურსი „საუკუნის ბებია“, ახლა კი სცენაზე ახალგაზრდა დედები გამოვიდნენ. ისინი „დედა საქართველოსი – 2000“-ის ტიტულის მოსაპოვებლად ეცილებოდნენ ერთმანეთს.

წინასწარი შერჩევის შემდეგ საფინალო შოუში თერთმეტი დედა მონაწილეობდა. თერთმეტი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელთაგან ყველაზე უფროსი 27 წლის იყო, უმცროსი – 15-ის: რებეკა მარი, თამარ გვაზავა, ეკა ნაცვლიშვილი, ირინა ხუციშვილი, ნათია ჯიხვაშვილი, თამუნა დავითაშვილი, მარი ანანსკიხ-ზედგენიძე, თამუნა მუჯირიშვილი, ანა მეფარიშვილი, ხათუნა კაპანაძე, ფიქრია შუბითიძე.

კონკურსი ოთხ ტურად ჩატარდა. პირველი ტური „აღლუმი“ იყო, მეორე – შეჯიბრი არტისტიზმში – სცენა 30-იანი წლების პარიზის ვაგზლის ცხოვრებიდან, მესამე – საქმიანი დედა, ხოლო მეოთხე ტურში დედები საღამოს კაბებით მოგვევლინენ.

კონკურსის მსვლელობისას სცენას იპყრობდნენ „სეფას ბიჭები“, რობერტ ბარძიმაშვილი თავის აღზრდილ გიო ალანიასთან ერთად, „თელას“ მოცეკვავეები, „მზიურის“ მეექვსე თაობა და ინგა ფერაძე, რომელსაც დიდხანს არ უშვებდა მაყურებელი სცენიდან.

განაწილდა საპრიზო ადგილებიც და მაყურებელი მოწმე გახდა, რომ კონკურსის არც ერთი მონაწილე გულდაწყვეტილი არ დარჩა. მაგრამ დარბაზში ოვაციებმა პიკს მიაღწია, როცა მაყურებლის სიმპათიას ირჩევდნენ. აქ ერთმანეთს ნათია ჯიხვაშვილი და თამუნა მუჯირიშვილი ეცილებოდნენ. საბოლოოდ, მაყურებელმა ნათია ჯიხვაშვილი აირჩია. ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: ეკა ჩიტაშვილი – სტუდია „მაქსიმუმი“, რუსუდან ფეტვიაშვილი – მხატვარი; ბიძინა ბარათაშვილი – საქტელერადიო; დავით ბალხამიშვილი – ქალაქის მერია, ადგილები ასე გაანაწილა: პირველი – მაია ნაცვლიშვილს, მეორე – თამუნა მუჯირიშვილს, მესამე – მარი ანასკიხ-ზედგენიძეს ერგო, ხოლო „გრან-პრის“ გაზეთ „ალიას“ თანამშრომელი, ოთხი წლის გიგი ღონიაშვილის დედა, ნათია ჯიხვაშვილი დაეუფლა, რომელსაც ოქროს გვირგვინი არკადი ჭოველიძემ დაადგა თავზე.



ნათია ჯიხვაშვილი

„დედა საქართველოსი – 2000“ ნათია ჯიხვაშვილი 20 წლისაა. ინგლისური ენის სპეციალისტი, პროფესიით ჟურნალისტი, ქალის უპირველეს მოვალეობად დედობას მიიჩნევს, ადამიანში უფრო ლამაზ სულს აფასებს. ფიზიკური სილამაზე, მისი აზრით, სულის მშვენიერებიდან მოდის.

ნათიას ძალიან უყვარს კონსტანტინე გამსახურდია და მიხეილ ბულგაკოვი. დღევანდელ ახალგაზრდობაზე კი ასეთი აზრისაა: ისინი რატომღაც პრაგმატულები, ზოგჯერ უფრო ნიჰილისტები არიან.

ნათიას ჰყავს მშობლები – ჟურნალისტი შერმადინ ჯიხვაშვილი და ინჟინერ-ტექნოლოგი იამზე შენგელია. ჰყავს ორი ძმაც.

კორ: რა აზრისა ხართ ბალზაკის სიტყვებზე: „ლამაზები კი არ არიან ბედნიერნი, არამედ ბედნიერნი არიან ლამაზები“. თქვენი აზრით, რა არის ბედნიერება?

ნ.ჯ. ამ ნათქვამს სრულად ვეთანხმები. ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ირგვლივ ყველაფერი ლამაზად მეჩვენება. დღეს მე ბედნიერი ვარ, რადგან მყავს შვილი და ვხარობ ჩემი მშობლებისა და ძმების სიხარულით.

კონკურსის მონაწილენი უკლებლივ ყველა მომხიბვლელი და მშვენიერი იყო. ეს ბუნებრივიცაა: დედა ხომ ყველა მშვენიერია!

*ნინო ალულიშვილი*

# სიყვარულის სამკუთხედი

მკითხველი: მამაკაცი, რომელიც ჩემს ქალიშვილს შეუყვარდა, მესამედაა დაქორწინებული და ყველა ცოლთან თითო ბავშვიც ჰყავს მიტოვებული. მისი უფროსი შვილი თითქმის ჩემი ქალიშვილის ტოლია.

მაგრამ ჩემს ქალიშვილს თითქოს თვალები აქვს ახვეული — ვერაფერს ხედავს, ყველა თაყვანისმცემელი ჩამოიშორა. ზის და ელის მის ზარს. მდგომარეობა უპერსპექტივოა. როგორ ვუშველოთ მას, თუკი ამ თემაზე ლაპარაკიც არ სურს?

ფსიქოლოგი: აქ თქვენ მოკავშირედ მხოლოდ იმ კაცის ცოლი გამოგადგებათ. მართალია, ცოტა ულმობლობაა, მაგრამ რას იზამ. სიმართლე მისთვისაც სასარგებლოა. გააგებინეთ მისი ქმრის საქციელი. ამით ან თქვენს ქალიშვილს გაუქარწყლებთ უსაფუძვლო იმედებს, ანდა მოამზადებთ, ცოლგაყრილ კაცს დაუკავშიროს მომავალი.

საქართველოს ეროვნული

ამა წლის მაისში შეჯამდა სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის ქალთა №5 იზოლატორში საქართველოს ქალთა საბჭოს მიერ მსჯავრდებულ ქალთა შორის გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის შედეგები.

კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელსაც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი თავკაცობდა (გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის" მთ. რედაქტორი, კრიტიკოსი ჯუმბერ თითმერია) რამდენიმე გამარჯვებული გამოავლინა.

I პრემია წილად ხვდა ნატალია ლაზვიაშვილს;

II პრემია – მაია ცხადაძეს.

განაწილდა წამახალისებელი ჯილდოებიც.

ქვემოთ გთავაზობთ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ნატალია ლაზვიაშვილის მინიატიურას და ლექსებს.

## წვიმიან ღამით...

„მონატრებას დაუცვივდა ფოთლები
და აქ, სულში არაფერი არ ხდება,
რომ შევხვდებით, ჩემი ყველა ოცნება
ერთდროულად ახდება..."

შემოდგომის ოქროსფერი თმები მხრებზე ჩამომეშალა... წვიმის წვეთებმა მეჯლისი მომიწყვეს... საცეკვაოდ მიმიწვიეს... თავს უჩვეულოდ ვგრძნობ... დაუფიქრებლად გავდივარ წვიმაში და ცრემლიან ღამეს ვუერთდები... საოცრად ლამაზი გრძნობა მიმყვება თან... გვიან ვხვდები, რა ჰქვია მას ან საიდან გაჩნდა ასე უეცრად... კოკისპირული წვიმაა და სისველეს ვერ ვგრძნობ. არც მცივა... პირიქით, სრული სიცხადით შევიგრძნობ სიმხურვალეს, ჩემსკენ გამოწვდილი ცრემლებით სავსე წითელი ვარდიდან რომ მოედინება... ეს რაღაც სასწაულს მოჰგავს... ასეთი რამ, არც მეგონა, თუ ხდებოდა... ეს მხოლოდ ზღაპრის სიუჟეტად მიმაჩნდა... საოცარია, თავი მართლა კონკია მგონია, რომელიც ჩემს ცისფერ ოცნებებში არსებობდა მხოლოდ... ნუთუ ოცნებები მართლა ხდება?.. ბედნიერება დასასრულია თუ დასაწყისი? ბედნიერება...

ცეკვა თავბრუს მახვევს, მგონია, სულ ცოტაც და მუხლები მომეკვეთება... ეკალი მაფხიზლებს... თითიდან სისხლი მოჟონავს... სისხლი ცხელი, მწველი... ტკივილს ვერ ვგრძნობ. ჩემს თითებს მხოლოდ მხურვალე კოცნის კვალი აჰყვია, თითები მეწვის... ეს, ალბათ სირცხვილის გრძნობაა, მაგრამ საიდან გაჩნდა იგი აქ სწორედ ახლა, ან რატომ... ან, საერთოდ სად ვარ, რა მემართება. ეს ლაბირინთი ხომ გაუვალია... თუ ვერ ვიპოვე გასასვლელი... მე ხომ ისიც არ ვიცი, საიდან შემოვედი...

მხოლოდ ის ვიცი, რომ შემოდგომაა, რომ წვიმის წვეთებმა მეჯლისზე მიმწვიეს და, რომ წითელმა ვარდმა ცრემლიან ღამით სიყვარული შემომფიცა.

## მოულოდნელი გარდაცვალება

მე მიტოვებულ ტაძარს ვემსგავსე
და ნატყვიარი კედლების მიღმა,
ხელგაწვდილი და მუხლმოდრეკილი
ჩემი აჩრდილის გალობა მესმა.

„მამაო ჩვენო", – ჩურჩულებს ფრესკა,
„სუფევა შენი", – გუმბათი გრგვინავს,
„მოვედინ", – პირჯვარს ისახავს მრევლი;
აწ და მარადის, დიდება შენდა!

ათას ცრემლიან სანთელთა შორის
სანთლად ქცეული აჩრდილი იდგა
და უკანასკნელ ცრემლებს ტოვებდა
წარსულის უგრძეს ნაკვალევებად.

მე მიტოვებულ ტაძარს ვემსგავსე
და საოცარი ვნახე ზმანება,
ჩემსავ სხეულში ჩემივე სულის
მოულოდნელი გარდაცვალება.

## მე არ მინდოდა

„მე არ მინდოდა მეცხოვრა ასე",
ჭრილობას მიხსნის ცხელი სტრიქონი
„სულ სხვამ იცხოვრა სანაცვლოდ ჩემდა"!
ჩურჩულებს ლექსი და მე გავყვირი:

„მე არ მინდოდა მეცხოვრა ასე",
ვის დავაბრალო ჩემი ცოდვები?
თუკი შემეძლო სხვაგვარად ყოფნა,
რატომ გადავდგი სულ სხვა ნაბიჯი.

თვალებზე ცრემლი მადგება სიმწრის,
დავბორიალობ უგონოდ მთვრალი,
კვამლის ბურუსში მზად ვარ ჩავიხრჩო
და პატიება ვითხოვო ამის.

მე მომესაჯა სასჯელი თქვენით,
ჩემს მომავალსაც ბადეში ვხედავ,
თუკი შესძელით ცოდვილის სმენა,
მე აღსარებას მხოლოდ თქვენ გეტყვით.

„მე არ მინდოდა მეცხოვრა ასე",
ასე იწყება ეს მონოლოგი,
„სულ სხვამ იცხოვრა სანაცვლოდ ჩემდა"
და ამ სხვას ახლა ვიწვევ დუელში.

*ნატალია ლაზვიაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმედის პატარა ოაზისი

ვინც გვეხმარება

ქალაქის ცენტრში, ნაცრისფერი, უსახური შენობებით გარშემორტყმულ ხელისგულის ოდენა ადგილზე ოაზისივით ჩანს იმერული ოდასავით კოპწია შენობა, რომელშიც ქუთაისის იმერეთის განვითარების სააგენტოს თბილისის წარმომადგენლობაა განთავსებული. წარმომადგენლობას დაარსების დღიდან, აგერ უკვე შვიდი წელია, ძირძველი ქუთაისელი, დღეს თბილისის მკვიდრი ბ-ნი გია ხურციძე ხელმძღვანელობს.

იმერეთის წარმომადგენლობის დაარსების იდეა 1993 წელს ქუთაისის იმდროინდელ მერს ბატონ თემურ შაშიაშვილს მას შემდეგ გაუჩნდა, როცა ქვეყანაში გამეფებული ქაოსის, არეულობის, ნგრევის, მოშლილი კომუნიკაციების ფონზე პრობლემად ექცა ელემენტარული კავშირის დამყარება ცენტრსა და რეგიონს შორის, ადგილზე მოკრებილი, დამუშავებული ინფორმაციების სამთავრობო ორგანიზაციებისა და პარლამენტისთვის ოპერატიულად მიწოდება. სწორედ მაშინ დაუდგნენ ქუთაისის მერს გვერდით ბ-ნი გია და მისი მეგობრები და ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, უშტატოდ, ცარიელი ენთუზიაზმით, შეუდგნენ მუშაობას. ისე უხმაუროდ ილვწოდნენ, რომ ბევრმა მხოლოდ წლების შემდეგ, დედაქალაქში სხვა წარმომადგენლობის ხმაურიანი გახსნის მერე შეიტყო მათი არსებობა. არადა, იმდენი სასიკეთო საქმე გაკეთდა ამ წლებში, იმდენ გაჭირვებულსა და ავადმყოფს გაუმართეს ხელი, იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდა დააყენეს გზაზე, რომ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

დღეს, როცა სიტუაცია მეტ-ნაკლებად სასიკეთოდ შეიცვალა და ქვეყანაც სტაბილიზაციის გზას დაადგა, წარმომადგენლობამ, როგორც დაუყოვნებელი მოქმედების შტაბმა, სახელიც იცვალა და პროფილიც. ახლა იგი არასამთავრობო სტრუქტურა – ქუთაისის იმერეთის განვითარების სააგენტოს თბილისის წარმომადგენლობა გახლავთ, რომლის პრეზიდენტი ბ-ნი თემურ შაშიაშვილია, თბილისში კი ბ-ნი გია ხურციძე ხელმძღვანელობს.

ამჟამად სააგენტოს ძირითადი აქცენტი ბიზნესზე აქვს გადატანილი და დედაქალაქში თავმოყრილ საელჩოებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, კერძო სტრუქტურებთან, ბიზნესმენებთან ცდილობს კავშირის დამყარებას და ინვესტიციების იმერეთის რეგიონში მიზიდვას, რათა სათანადოდ დადგეს ფეხზე ტყიბულის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ქუთაისის წარმოება-დაწესებულებები და ფაბრიკა-ქარხნები. სააგენტოს თითოეულ მათგანზე ამომწურავი ინფორმაცია აქვს შეკრებილი და დაინტერესებულ პირს აქვე, ადგილზე ჩაუსვლელად, შეუძლია მისთვის საჭირო ობიექტის გაცნობა.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო ძირითადად ბიზნესზეა გადართული, ძველ ტრადიციებს არ ღალატობს, ხშირად უწევდის დახმარების ხელს გაჭირვებულ თანამოქალაქეებს და სხვადასხვა სახის შეხვედრებსაც აწყობს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, მწერლებთან, სახელოვან ქუთაისელ ინტელიგენციასთან. ერთ-ერთი ასეთი დაუვიწყარი საღამო ამ რამდენიმე ხნის წინაც გაიმართა, როცა სააგენტომ დედაქალაქში იმერეთის ჰიმნის პრეზენტაცია მოაწყო.

სააგენტოს თბილისის წარმომადგენლობას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს „საქართველოს ქალთან“ და მისი მუდამ თავაზიანი და პირღიმილიანი ხელმძღვანელი, ქრონიკული მოუცლელობის მიუხედავად, ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გარკვეულ ნაწილს დაუზარლად და ოპერატიულად აწვდის ქუთაისელ მკითხველს, რისთვისაც დიდად ვემადლიერებით მას და ქუთაისის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ნელი გუმბერიძეს.

მადლობა ქუთაისს „ქალის“ მიმართ გამოჩენილი რაინდული პატივისცემისათვის.

*მანანა იმესაშვილი*

## ანონიმური შეკითხვები

• • •

— შეიძლება თუ არა ქალს, რომელსაც არასოდეს უმშობიარებია, მუცელზე გაუჩნდეს დაჭიმულობის ზოლები?

— შეიძლება ეს მოხდეს უეცარი გახდომისას. თუ ეს მიზეზი არ არის, მაშინ საქმე ეხება ჰორმონალურ დარღვევებს და უნდა მიმართოთ გინეკოლოგსა და ენდოკრინოლოგს.

• • •

— მშობიარობიდან რამდენ ხანში შეიძლება გავიკეთო აბდომინოპლასტიკა?

— ეს არის ოპერაცია, რომლის დროსაც მშობიარობის შემდეგ მუცელზე დარჩენილი ნაკეცი იკვეთება. ექიმები ერთი წლით მოცდას ურჩევენ. ზოგ შემთხვევაში ეს ნაკეცი თვითონ სწორდება (ტანვარჯიშისა და მასაჟის შედეგად). თუ პაციენტი მაინც ოპერაციას არჩევს, უნდა ახსოვდეს, რომ ამგვარი ოპერაციის შემდეგ მშობიარობა სასურველი არ არის.

• • •

— სასურველია თუ არა ყოველ დღე საშოს ღრმა გამორეცხვა (სპრინცოვკა)?

— არავითარ შემთხვევაში. ეს პროცედურა სრულიად საკმარისია კვირაში 2-ჯერ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დაიზიანოთ მიკროფლორა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გართულება — სოკოს ავადმყოფობა. განსაკუთრებით საზიანოა გამორეცხვა სოდიანი ან კალიუმპერმანგანატიანი წყლით. ისინი იწვევენ ნაზი ლორწოვანი კანის გამოშრობას, რასაც მოჰყვება წვრილი ნაპრალების გაჩენა

# სოფელმა სკოლის იუბილე იდღესასწაულა

ცოდნის დღესასწაული უწოდა ზესტაფონის გამგებელმა ჯემალ გორგოძემ პირველ სვირში გამართულ ზეიმს, რომელიც სოფლის სკოლის 110 წლის იუბილეს ეძღვნებოდა, – ამ ბედნიერ თარიღს დაემთხვა ისიც, რომ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით სკოლას მიენიჭა **თომა წაქაძის** სახელი, – რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ არა მარტო მშობლიურ სოფელში, – მთელ საქართველოშიც. თომა წაქაძე 32 წლის განმავლობაში თავკაცობდა სკოლის პედკოლექტივს და მრავალი ღირსეული ახალგაზრდა აღზარდა.

ზესტაფონის განათლების განყოფილების გამგემ ზურაბ კვეტენაძემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ თუ ადრე გამოჩენილ პარტიულ მუშაკებს უდგამდნენ ძეგლებს, ახლა დრო შეიცვალა და პედაგოგებსაც აქცევენ ყურადღებას – ზესტაფონის IV საშუალო სკოლას **ზურაბ გველესიანის** სახელი მიენიჭა, I სვირის სკოლას კი – **თომა წაქაძის** სახელი. ძველად პედაგოგის სახლთან გავლისას ქუდს იხდიდნენ, ახლა კი ქუდი ამ სულნათელი ადამიანების ხსოვნის წინაშე უნდა მოვიხადოთო, – თქვა მან.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ – ოთარ კაკაურიძემ თომა წაქაძის თავმდაბლობას გაუსვა ხაზი, – ბატონი ოთარის მამა, თავის დროზე, თომას მასწავლებელი ყოფილა. როდესაც თომა დირექტორად დანიშნეს, არასოდეს გამოუძახებია სასწავლო ნაწილის გამგე კაკაურიძე, ყოველთვის თვითონ ეახლებოდა თურმე. აღმზრდელი შეწუხებულა მისი ასეთი თავაზიანობით და არაერთხელ უთქვამს, თავად გეახლებით კაბინეტშიო, მაგრამ ახალგაზრდისთვის არასოდეს უღალატია უფროს-უმცროსობის გრძნობას.

საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ დავით სულაქველიძემ მშობლიური სკოლის კედლებში ძალიან თბილი სიტყვა წარმოთქვა და ქედი მოიხარა ყველა პედაგოგის ხსოვნის წინაშე.

საქართველოს პარლამენტის წევრმა დავით კოვზირიძემ მისასალმებელ სიტყვასთან ერთად სოფლის ისტორიაც გააცნო საზოგადოებას.

ყველაზე შთამბეჭდავად მაინც თომა წაქაძის ტრადიციების გამგრძელებელმა, სკოლის დირექტორმა როლანდ გეწაძემ ისაუბრა...

ამ დღეს ცნობილი გახდა სწავლის გადასახადებისაგან ბავშვების გათავისუფლება, ზესტაფონის რაიონში. (ფეროშენადნობთა ქარხანა უკვე სრული დატვირთვით მუშაობს და სასკოლო შეღავათი ამისი წყალობაა).

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა საზეიმო საღამოზე, ბევრი ღვაწლმოსილი პიროვნება სიხარულის ცრემლებს მალავდა, თუმცა ბატონი თომას დამ – ქალბატონმა ნორა წაქაძემ ვერა და ვერ მოახერხა უცრემლოდ სიტყვის თქმა...

დიდი საზეიმო ღონისძიება ბავშვების მონაწილეობით გახსნა 4 წლის ბესო კაპანაძემ, ძმას ტოლს არ უდებდა 8 წლის ნათია კაპანაძე, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ; თეონა კაკაურიძე და მარი წაქაძე, რიტა წაქაძე და ნათია ჩიგოგა, ლია კიკნაველიძე და ნინო ახალაძე, სალომე კაპანაძე და ელიტა წაქაძე, დები: ანა და ანჟელა კირკიტაძეები, ლელა კიკნაველიძე და დაიანა კაკაურიძე, ქეთინო ურჩაძე და ნათია ჭულუხაძე, ნათია კაპანაძე და ნინო ნიქაბაძე, ანა ჩიგოგა და ნატო გოგნაძე, ნათია ჭულუხიძე და თათია კაკაურიძე, ნატო გოგნაძე და მედეა კაპანაძე... შველივით გოგონებს არც ბიჭუნები ჩამორჩებოდნენ, მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს: დავით ჩხიკვაძემ და ჯონი ძიმისტარაშვილმა, არჩილ კაპანაძემ და სოსო ღიბრაძემ, გოჩა კაკაურიძემ და გოგა გიორგაძემ, გურამ გეწაძემ და გიორგი წაქაძემ, რომიკო ღიბრაძემ და ლევან გიორგაძემ...

ბავშვების თვითშემოქმედება ისეთ დონეზე იყო წარმოჩენილი, რომ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზსაც დაამშვენებდა. ეს შედეგი კი სასწავლო ნაწილის გამგის – ნარგიზა ლელაძისა და პედაგოგების: ხათუნა ჟორჟოლიანის, მაკა კობახიძის, იზა კაპანაძის, იზა ღიბრაძის, ირა ჭიჭინაძის და ნატო გვალიას მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფია.

... იმ საზეიმო დღეს იმდენი კარგი ადამიანი ვნახე, იმდენი ბავშვის ნიჭიერებამ აღმაფრთოვანა, რომ ეროვნული სიამაყის გრძნობით აღვივსე.

*ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი*

ქართული ბიბლიოთეკა

# სიყვარული ჯადოსნური ქვეყანაა და მასში ყველაფერი შეიძლება მოხდეს

## მათ გრძნობა ორივესთვის ყოფნით



მაიაკოვსკი და ლილია ბრიკი

არიან ქალები ძლიერი ხასიათის მქონენი, რომლებისთვისაც ცხოვრებაში მთავარი საკუთარი გრძნობები, სურვილი და განცდებია. ამ „უკანონო კომეტებს“, როგორც მათ პუშკინი უწოდებდა. არ აშინებთ არც ჭორები, არც სხვათა ცნობისმოყვარეობა.

ვერავინ მოახვევს თავზე მოსაწყენ, რუხ ცხოვრებასა და ყოფას. ისინი ცხოვრებას თითქმის ზემოდან დაჰფარფატებენ. ასეთი ქალი იყო პოეტი ზინაიდა გიპიუსი, ვისი ცხოვრება საზოგადოებისათვის მუდმივად ახალი ჭორების საგანი იყო. მის ქმარს დიმიტრი მერეჟკოვსკის და ოჯახის მეგობარს დიმიტრი ფილოსოფოვს ორივეს თავისებურად უყვარდა და ეთაყვანებოდა ამ ქალს.

სხვა მაგალითი — ლილია ბრიკი. წლების მანძილზე მშვიდად და ღირსეულად ერთდროულად უყვარდა ორი მამაკაცი — ქმარი, ნიჭიერი ლიტერატურისმცოდნე ოსიპ ბრიკი და საყვარელი — პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. რევოლუციის, ნეპის, სამოქალაქო ომების დროინდელ მძიმე ცხოვრებას ილამაზებდა რომანტიკული გრძნობით. ჩვევა და სიახლე, საიმედობა და სასიყვარულო ალმაფრენა...

## ყველა ასე ვერ შეძლებს

ერთდროულად ორი მამაკაცის სიყვარული. კარგია თუ ცუდი? ვერავინ ვერასდროს გაგვცემს ამ კითხვაზე ნათელ და ერთმნიშვნელოვან პასუხს. მარინა ცვეტაევა ქმარს გამოუტყდა: მე სხვა მიყვარს, ამაზე უბრალოდ, უხეშად და მართლად ვერ იტყვი. გადამიყვარდით თუ არა თქვენ? არა. არც თქვენ შეცვლილხართ და არც მე. შეიცვალა ერთი თქვენ ერთზე ჩემი გულისხმის მტკივნეული თავმოყრა.

მსგავს სიტუაციაში ჩავარდნილ ყველა ქალს როდი შეუძლია იყოს ასე მართალი და გულახდილი. ასე გამოხატოს თავისი გრძნობა, როგორც ცვეტაევამ. უმრავლესობის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საიდუმლოს გამჟღავნების შიში. რამდენი სულიერი ენერგია იხარჯება კონსპირაციაზე, შურიან მეგობართა და მეტოქეთაგან გრძნობის დამალვაზე.

ასე რომ, ნუ შეგშურდებათ ამ ქალთა „ორმაგი ბედნიერება“, მით უფრო, ნუ ეცდებით შექმნათ „პარალელური სამყარო“. ასეთი განცდები დიდ სულიერ დაძაბულობას ითხოვს, რასაც მოჰყვება სულიერი გადაღლილობა, გამოფიტვა, რაც რეალურად ძალზე ძნელი გადასატანია. რომელი პინა გადასწონის?

ჩვენს მიერ ნაამბობ ისტორიებში ლაპარაკი არ არის ბანალურ ღალატზე. ასე რომ იყოს, ვერდიქტის გამოტანა და რჩევის მიცემა ადვილი იქნებოდა. ერთი გიყვარს, მეორე — არა. სჯობს იმასთან იყო, ვინც გიყვარს. მაგრამ როცა ქალს ორივე ერთდროულად უყვარს, სწორი გადაწყვეტილების მიღება, ცხადია, რთულდება.

ალბათ, ამის გამო იყო, ისტორიულად ცნობილი ამგვარი ქალების ქმრები არ ჩქარობდნენ გადაწყვეტილების მიღებას და მრისხანედ არ ითხოვდნენ განქორწინებას.

მამაკაცები ქალებზე ნაკლებ როდი გრძნობენ გრძნობის სიწრფელეს. დიახ, საყვარელ ქალს სხვის მიმართაც გაუჩნდა გრძნობა, მაგრამ ქმარიც რომ ნამდვილად უყვარს?

შესაძლოა, მოცდის, ყველაფრის საფუძვლიან აწონ-დაწონის პოზიცია ყველაზე მართებულია. სასწორის პინები დიდხანს ვერ იქნებიან წონასწორობაში. რომელიმე აუცილებლად გადაწონის. ადრე თუ გვიან, მაინც ერთს ირჩევ.

*„ლიზა“ №23 2000 წ.*

ქრონიკა

# არაჩვეულებრივი გამოფენა კონცერტით



საქართველოს ქალთა საბჭოს წევრები თბილისის იპოლიტოვ – ივანოვის სახ. მე-6 სამუსიკო სკოლას ესტუმრნენ, სადაც მეტად საინტერესო გამოფენა მოეწყო – ამავე სკოლის პედაგოგმა ქ-ნმა მთვარიდა ყიფიანმა მნახველის სამსჯავროზე წლების მანძილზე საოცარი ოსტატობით შესრულებული ნაქარგები გამოფინა.

დამთვალიერებელი დიდი ინტერესით გაეცნო არაჩვეულებრივი სინატიფით დაქარგულ პერანგებს, გულისპირებს, სუფრებს, ფარდებს, ხელსახოცებს. მხილველის თვალს ხიბლავდა ფერთა არაჩვეულებრივ გამაში გადაწყვეტილი ფიროსმანის „ორთაჭალის ტურფა“ და „გოგონა ბუშტით“, „წეროები“, „ატმის ყვავილობა“, „ნატო მაყაშვილის პორტრეტი“, ულამაზესი ყვავილნარი: იები, გვირილები, მაგნოლიები... ყაისნაღით ნაქსოვი ჰაეროვანი შარფები...

არაჩვეულებრივი გამოფენა მშვენიერებასთან წილნაყარი ქალბატონის მოსწავლეთა კონცერტით დასრულდა. დამსწრე საზოგადოებას უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ნორჩ პიანისტთა მიერ ვირტუოზული ოსტატობით შესრულებულმა თაქთაქიშვილის, აზარაშვილის, მერი დავითაშვილის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა.

საღამოს დასასრულს საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობის თავჯდომარემ ქალბატონმა ზინაიდა კვაჭაძემ ქ-ნ მთვარიდას და მე-6 სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა მინიჭებული სიამოვნებისათვის და ხელოვან პედაგოგს ქალთა საბჭოს სახელით საჩუქარი გადასცა.

# გვიშველე მეფეო, მოგვხედე, გვიპატრონე!

*ნამდვილი ამბავი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 წელი, 4 ოქტომბერი.

ალავერდობა დღე.

ტაძრის გალავნის შიგნით და გარეთ უამრავი ხალხია.

ხმა გავრცელდა: ჩვეულებრივი კი არა, თეატრალიზებული ალავერდობა ჩატარდებაო. ამიტომ უფრო მოზღვავდა ხალხი.

ალავერდობა თავდაპირველად მოსავლის და ნაყოფიერების დღესასწაული იყო. აქ იმართებოდა დიდი ვაჭრობა, პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა. ამავე დროს ტაძარში სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. იხოცებოდნენ შეთქმული (ასახელებული) საკლავები, გალავნის გარეთ აწყობდნენ ფარდულებს, ანთებდნენ კოცონებს, იმართებოდა სპორტული ასპარეზობები, ქეიფები, დროსტარება. ისმოდა დოლ-გარმონის, დაფა-ზურნის, თარის, ჭიანურის, დიპლიპიტოს ხმები.

ალავერდობა წელიწადში სამჯერ იმართებოდა, შაბათ-კვირას, ერთმანეთის მიყოლებით. მერე თანდათან სახეცვლილება განიცადა. ბოლოს ხალხი უფრო სალოცავად მიდიოდა. ეს არ მოსწონდათ პარტიულ იდეოლოგებს. პარტიის რაიკომებს დაავალეს სახე ეცვალათ ამგვარი დღესასწაულებისათვის, ანუ გაეთანამედროვებინათ. ამ მიზნით ახმეტის რაიკომში მიგვიწვიეს რეჟისორად გოგი შიოშვილი (სპორტის სასახლის მაშინდელი დირექტორი), სცენარის დასაწერად ამ სტრიქონების ავტორი.

რაიკომში თავიანთი სურვილი გაგვაცნეს, ოღონდ, იქნება როგორმე მოახერხოთ ძველისა და ახლის შერწყმით ნამდვილი თანამედროვე დღესასწაული გამოგვივიდესო.

მომდევნო შაბათს მე უნდა წარმედგინა სასცენარო გეგმა და განგვეხილა, მაგრამ სასცენარო გეგმის ნაცვლად გამზადებული სცენარი მივიტანე.

განიხილეს, მოეწონათ. კმაყოფილები დარჩნენ.

დადგა განხორციელების დღე – 4 ოქტომბერი.

სპეციალურად მომზადებულ ტახტზე დავსვით მოსავლიანობისა და ნაყოფიერების „დედა-დედოფალი". რაიონის თერთმეტივე მეურნეობის დირექტორი თავიანთი მოწინავე მშრომელების თანხლებით უნდა მისულიყვნენ „დედა-დედოფალთან" ნობათით და მოკლედ მოეხსენებინათ თავიანთი მეურნეობის შრომითი წარმატებების შესახებ. შემდეგ თავიანთივე ძალებით უნდა შეესრულებინათ რამდენიმე საკონცერტო ნომერი.

დედოფლის გვერდით ისხდნენ ჟიურის წევრები, რომლებიც შეაფასებდნენ და ბოლოს გამარჯვებულებს გამოაცხადებდნენ, ჯილდოებს გადასცემდნენ.

მაგრამ მანამდე გათვალისწინებული იყო მეფე ერეკლეს შემოსვლა თავისი ამალით. მეფე იჯდებოდა საგანგებოდ შერჩეულ თეთრ ცხენზე, დანარჩენები – წითელ ცხენებზე.

მეფე უნდა ასულიყო გალავნის კიბეებით ტერასაზე და იქიდან უნდა დაელოცა ერი. იტყოდა, ეს-ეს არის შემოვიარე კახეთიო და რაც მოსავლის სიუხვე ნახა, უნდა ემცნო ხალხისთვის.

ერეკლეს როლის შემსრულებლად მოწვეული იყო ბატონი ტარიელ საყვარელიძე, რომელსაც მაინცდამაინც არ ჰყვარებია ცხენზე ჯდომა.

და აი, დადგა სცენარის განხორციელების დრო.

გალავნის ქონგურზე ირეკება ზარი.

ხმის გამაძლიერებლით ისმის:

– მობრძანდება! მობრძანდება! მეფე ერეკლე მობრძანდება!

ხალხი იქით იყურება, სადაც ახალგაზრდების ერთი ჯგუფი მეფისა და მხედრიონის შემოსასვლელ გზას ათავისუფლებს.

ტაძრის უკანა მხრიდან გამოჩნდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ერეკლე მეფე (ტარიელ საყვარელიძე მეფის სამოსში). თან მოჰყვებოდნენ ქართულ ჩოხებში გამოწყობილი მოსხლეტილი ცხენოსნები.

ისმოდა ძველი ქართული მხედრული სიმღერა.

ხალხი ტაშით ეგებებოდა მეფეს.

გალავნის დასავლეთით, ზედა სართულზე მღვდელმსახურთა ოთახის პატარა ხის აივანზე გადმოდგა მღვდელი, ცხენზე ამხედრებული მეფე კარგად რომ დაენახა, წინ წამოდგა, აივნის სვეტისთვის უნდოდა ხელი წაევლო, მაგრამ აუცდა და კინაღამ ძირს გადმოვარდა. შეშინებულმა პირჯვარი მაინც გადაიწერა და დაიძახა:

– დიდება მეფეს! დიდება მეფეს!

ქვის კიბესთან მეფემ დაიქვეითა. ახალგაზრდებმა ცხენი ჩამოართვეს. ის იყო კიბისაკენ გაემართა, უცებ გადაუდგა ვიღაც ქუდმოხდილი ბერიკაცი, დაიჩოქა და მეფის სამოსელის კალთას ემთხვია:

– დიდება ქართლ-კახეთის მეფეს!

– დიდება თქვენს მობრძანებას!

– დიდება თქვენს სახელს, მეფევ ბატონო!

– გვიშველე რამე, შენი სახელის ჭირიმე. შენ მაინც გვიშველე. მოგვხედე, გვიპატრონე. მტერს ნუ გაგვილალებ, შენი სახელის ჭირიმე!

ასეთი რამ სცენარში არ გვქონდა გათვალისწინებული. ბატონი ტარიელი შეცბა, მაგრამ არ დაბნეულა. უცებ მოიაზრა: მეფური სიდინჯით დაიხარა, ბერიკაცი წამოაყენა და უთხრა:

– გიშველით, პაპიავ, გიშველით! აბა, მაშ რისი მეფე ვარ, რისთვის მოვედი?!

– ჰო, შენი სახელის ჭირიმე, ჰო! – დამშვიდებულმა ბერიკაცმა გზა უტია მეფეს.

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სცენარში იყო გათვალისწინებული.

ღონისძიება რომ დამთავრდა, იმ ბერიკაცს ვეძებდი, მინდოდა გამეგო, ვინ იყო, რამ მოაფიქრა მეფესთან ასეთი შეხვედრა, მაგრამ ვერსად ვნახე მისი მცნობი. სამაგიეროდ მღვდელს შევხვდი და ვკითხე:

– მამაო, ჩვენმა ღონისძიებამ ხელი ხომ არ შეგიშალათ წირვა-ლოცვის ჩატარებაში?

– არა, შვილო ჩემო, პირიქით. ამდენი მლოცველი მრევლი ალავერდს არ ახსოვს. ამდენი სანთელი და კელაპტარი არასოდეს გაყიდულა. ნეტა ყოველ წელს ჩაგატარებინათ, მლოცველი გაგვიმრავლდებოდა!

ძალიან გამიხარდა. მანამდე გული მეთანაღრებოდა, ვაი თუ ჩემი სცენარით ღმერთის საწყენი რამ გავაკეთე მეთქი.

ეს სიხარული რაიკომის მდივნისთვის არ გამიმხელია, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ერთი ქალბატონი გვესწრებოდა, რომელიც ასეთ ღონისძიებებს კურირებდა. ეტყობა, ის მიხვდა, რა შედეგიც მივიღეთ და მას შემდეგ ასეთი ალავერდობა აღარ ჩაუტარებიათ.

*ვალერიან ჩეკურიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოსკარი „ოსკარისათვის“

*ივი მხატვრობაზე, მოხეტიალე ცხოვრებასა და თავგადასავლებზე ოცნებობდა. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საქმეში მისი უდიდებულესობა შემთხვევა ჩაერია და გუშინდელი დომინიკელი სტუდენტი ოსკარ დე ლა რენტა მოულოდნელად „ახალი სამყაროს“ ერთ-ერთ სახელგანთქმულ დიზაინერად იქცა...*



როცა მადრიდის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის ყოფილმა აღსაზრდელმა ოსკარ დე ლა რენტამ მეგობარი გოგონასაგან (ესპანეთში აშშ-ის ელჩის ქალიშვილი რომ გახდა) გამოსაშვები საღამოს კაბაზე მიიღო შეკვეთა — გაოცდა, მაგრამ უარი არ უთქვამს, რადგან ჩათვალა, თავისუფალ მხატვარსაც შეეძლო „უბრალოდ ლამაზი კაბის“ შექმნა, მით უმეტეს იმ გოგონასათვის, ძალიან რომ მოსწონდა. მაგრამ, როცა ამ სამოსელის წყალობით ელჩის ასული ერთ მშვენიერ დღეს ჟურნალ „ლაიფის“ გარეკანზე მოხვდა, მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა.

ასეთი იღბლის ხელიდან გაშვება ნამდვილი დანაშაული იყო — ჭაბუკმა რომანტიკულ ოცნებებს თავი ანება და თავბრუდამხვევი დებიუტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სახელგანთქმულ ესპანურ სახლ „ბალენსიაგაში“ დაიწყო მუშაობა, ორიოდე წლის შემდეგ კი — პარიზში, „ლანვინთან“. 1963 წელს დომინიკელი დიზაინერი „ახალ სამყაროში“ გადავიდა და ნიუ-იორკის მოდელების სახლი „ოსკარ დე ლა რენტა“ დააარსა, რომლის პროდუქციაზეც ორი წლის შემდეგ უზარმაზარი მოთხოვნილება გაჩნდა.



როცა დე ლა რენტას წარმატების საიდუმლოზე საუბრობენ, მის საყვარელ ქალებს — მეუღლეებსაც არ ივიწყებენ, მსოფლიო სახელ-დიდება რომ მოუტანეს მოდელიერს და, რომელთაც იგი უინძორის ჰერცოგთა წვეულებაზე გაეცნო. ოსკარმა ჯერ საფრანგეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი — ფრანსუაზა დე ლანგალდი შეირთო ცოლად, მერე კი — მისი მეგობარი, ამერიკელი არისტოკრატი ქალბატონი — ანეტ რიდი, თუმცა პირველ მეუღლესთან მეგობრული ურთიერთობა არ შეუწყვეტია.

საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, არაჩვეულებრივი მამაკაცური მომხიბვლელობა ოსკარ დე ლა რენტას ფენომენური წარმატების ერთ-ერთი მიზეზთაგანია. და მართლაც, 67 წლის ასაკში იგი კვლავ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე თვალისმომჭრელ და სასურველ მამაკაცად ითვლება. ფართო ნაცნობობა, დიდი კავშირები (მათ შორის მსოფლიოს სახელგანთქმულ ადამიანებთან და სამეფო ოჯახის წევრებთან) — დე ლა რენტაზე უკეთ არავინ იცნობს საკუთარი კლიენტურის გემოვნებასა და მისწრაფებებს და რა გასაკვირია, როცა ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო „ოსკარის“ ცერემონიაზე მიწვეული სტუმრები, ნომინანტები და ლაურეატები, მსოფლიოს სახელგანთქმული საპატარძლოები თუ არაბული სამყაროს პრინცესები ყველაზე ხშირად სწორად მის ტუალეტებს არჩევენ.

„ოსკარზე“ წასასვლელად ოსკართან ვიმოსებით“ — აი, ის ფრთიანი ფრაზა, რომელსაც ახლა ყველაზე ხშირად გაიგონებთ გემოვნებიან, დიდგვაროვან კლიენტთა წრეში და დაგვეთანხმებით, დიზაინერისათვის ამაზე სასიამოვნო მოსასმენი სხვა აბა რა უნდა იყოს.

„კარავან ისტორიი“, სექტემბერი 1999

*თარგმნა* *მანანა იმესაშვილმა*

## კექსი

მასალად საჭიროა:

250 გრამი მარგარინი და ამდენივე შაქარი, 150 გრამი ფქვილი, 250 გრამი დანაყილი ნიგოზი, ნუში ან თხილი, 2 ჩაის კოვზი სოდა, 6 კვერცხი, 100 გრამი შოკოლადი.

მარგარინი, კვერცხები, შაქარი, ფქვილი, სოდა, ნუში და გახეხილი შოკოლადი კარგად ათქვიფეთ, მიღებული ცომი ყალიბში გადაიტანეთ და 180°-ზე გახურებულ ღუმელში აცხვეთ 1 საათის მანძილზე. ზემოდან მოაყარეთ შაქრის „პუდრა“.

## ხაჭოიანი ალუბლის ნამცხვარი

4 კაცზე — 500 გრამ კურკაგამოცლილ ალუბალს მოაყარეთ 4 სუფრის კოვზი შაქარი და 20 წუთით დადგით. 350 გრამი ხაჭო საცერში გაატარეთ და კარგად ათქვიფეთ, თან დაუმატეთ 125 მილილიტრი რძე, 60 გრამი შაქრის ფხვნილი, ნახევარი ლიმონის გახეხილი ცედრა და 3 კვერცხის გული.

ღუმელი 200°-ზე გაახურეთ. 50 გრამი მანანის ბურღული 50 გრამ დაჭრილ ნუშს, ნიგოზს ან თხილს შეურიეთ, კვერცხის ცილა ქაფივით ათქვიფეთ და ყველაფერი ხაჭოიან მასას დაუმატეთ. საშუალო სიმაღლის ყალიბს კარაქი მოუსვით და დანაყილი ორცხობილა მოაყარეთ.

ხაჭოიანი მასის ნახევარი ყალიბში მოათავსეთ, ალუბლები მოაწყვეთ და დარჩენილი ცომით დაფარეთ. ზემოდან 30 გრამი პატარა ნაჭრებად დაჭრილი კარაქი მოაწყვეთ. ცხვება 50 წუთის განმავლობაში. ზემოდან მოაყარეთ „პუდრა“.

## ნამცხვარი „ყვავილები“

8 ცალზე მასალად საჭიროა:

1 კვერცხი, 200 გრამი მარგარინი, 150-150 გრამი შაქარი, ფქვილი, სახამებელი, 75 გრამი დანაყილი ნუში, ნიგოზი ან თხილი, 100 გრამი ჯემი ან კონფიტიური, ვანილი.

კარგად ათქვიფეთ კვერცხი, შაქარი და მარგარინი, დაუმატეთ ფქვილი, სახამებელი, ვანილი და ნუში. მიღებული მასა მოათავსეთ საკონდიტრო პარკში და საცხობ ტაფაზე „ყვავილები“ დასვით. ცხვება 200°-ზე გახურებულ ღუმელში 5 წუთის მანძილზე. გამომცხვარი ყვავილების შუაგულში შემთბარი ჯემი ან კონფიტიური მოათავსეთ.

## ნამცხვარი „მარწყვი“ (ზარმაცებისთვის)

ხორცისსაკეპ მანქანაში თანაბარი რაოდენობით გაატარეთ ვაფლი და ნამცხვარი („პეჩენიე“), შეაზილეთ კარაქი. მიღებული მასისაგან მარწყვისოდენა ბურთულები გააკეთეთ. ამოავლეთ ჯერ ჭარხლის წვენში, შემდეგ — შაქარში და გაყინეთ.

## ნამცხვარი ზარმაცებისთვის

თეთრი პურის (უმჯობესია „ბატონი“) ნაჭრებს წაუსვით კარაქი ან მარგარინი, დააწყვეთ ტაფაზე, ზემოდან მოათავსეთ გახეხილი ვაშლი, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი და შედგით ცხელ ღუმელში 10-15 წუთით.

## შოკოლადის ნამცხვარი მსუნაგებისათვის

18 ცალზე საჭიროა:

120 გრამი ფქვილი, 20 გრამი კაკაო, 1/2 სუფრის კოვზი ახლადდაფქვილი ყავა, 120 გრამი კარაქი, 50 გრამი შაქრის „პუდრა“ და ვანილი.

მოზილეთ ცომი, გაახვიეთ ცელოფანში და შედგით მაცივარში ერთი საათით.

მიღებული მასისაგან კაკლისოდენა ბურთულები გააკეთეთ, პერგამენტიან ყალიბში მოათავსეთ ერთმანეთის მოშორებით და ჩანგლით დახაზეთ. ცომი რომ ჩანგალს არ ეკვროდეს, ჩანგალი მდუღარეში ჩაუშვით და კარგად გაამშრალეთ.

ნამცხვარი წინასწარ 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში ცხვება 15-20 წუთის განმავლობაში.

## კაკაოს კრენდელები:

12 ცალზე საჭიროა:

250 გრამი ფქვილი, 1/2 პაკეტი მშრალი საფუარი, 50 გრამი კარაქი, 100 გრამი დანაყილი და 50 გრამი დაჭრილი თხილი, 8 სუფრის კოვზი რძე, 1 კვერცხი, 1 სუფრის კოვზი რომი ან ლიმონის წვენი, 4 ჩაის კოვზი კაკაო, 1 ჩაის კოვზი დარიჩინი.

მომზადების წესი:

საფუარი ფქვილს შეურიეთ, კვერცხის ცილა გულისაგან გააცალკევეთ და 100 მლ. თბილ წყალში გახსენით, რომელშიც შერბილებული კარაქი და 3 სუფრის კოვზი რძეა არეული. ჩაყარეთ ფქვილი და მოზილეთ ელასტიური ცომი. დადგით თბილ ადგილას 20 წუთით.

დანაყილი და დაჭრილი თხილი მოხალეთ, შეურიეთ კაკაო, დარიჩინი, რომი ან ლიმონის წვენი და 5 სუფრის კოვზი რძე. ცომი კიდევ ერთხელ ამოზილეთ და გააბრტყელეთ. დაჭერით 12 სწორკუთხედად (5X20 სმ). თითოეულს თხილიანი მასა მოუსვით, დაახვიეთ და კრენდელის ფორმა მიეცით. გადაიტანეთ ქაღალდიან ყალიბში. დადგით კიდევ 20 წუთით. შემდეგ ზემოდან მოუსვით 2 სუფრის კოვზ წყალში გახსნილი კვერცხის გული. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ მოაყაროთ თხლად დაჭრილი ნიგოზი ან ნუში. ცხვება 20 წუთში.

## ნუშის ნამცხვარი

24 ცალზე საჭიროა:

50 გრამი კარაქი, 50 გრამი შაქარი, 1 კვერცხი, 100 გრამი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 25 გრამი გატარებული ნუში, 2 სუფრის კოვზი რძე, 3 ჩაის კოვზი კაკაო.

მომზადების წესი:

შერბილებული კარაქი და შაქარი ათქვიფეთ, დაუმატეთ კვერცხი, ფქვილი, სოდა, ნუში და რძე. მიღებული ცომი ტარტალეტების 12 ფორმაში გადაანაწილეთ. მეორე ნახევარს კი კაკაო დაუმატეთ და ისიც ფორმაში მოათავსეთ. ცხვება 200 გრადუსამდე გახურებულ ქურაში 25 წუთში.

## გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

*თარაზულად:* 5.ხაფანგი. 7.აკოლადა. 10.ბუკია. 11.ზალპი. 12.„განდეგილი“. 15.ფოსტა. 16.აბლაუტი. 17.აკურა. 20.ისარა. 22.ქანდარა. 23.კოლიზეი. 24.სკოლა. 28.„ორერა“. 29.ემულსია. 31.ბადრო. 34.სავარძელი. 35.პროზა. 36.დარიუ. 37.დივიზია. 38.სიმბოლო.

*შვეულად:* 1.ბანკნოტი. 2.ბადაგი. 3.ილუზია. 4.ოდალისკი. 6.გრენობლი. 8.კანისტრა. 9.პრესა. 13.ტორეადორი. 14.პროპელერი. 18.რურკი. 19.კროსი. 21.ასო. 24.სამოვარი. 25.ალიმენტი. 26.ტრილოგია. 27.გასტროლი. 30.ლორდი. 32.ესკაია. 33.დიდუბე.


ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში – მ.კოსტავას ქ. №14, V სართული



რედაქციის მისამართი 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 18.07.2000 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.08.2000 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 800



ლალი ლომთაძე

ლალი ლომთაძე — დაიბადა 1955 წ. თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ხელოვნების ფაკულტეტის კინოს განყოფილება (1973-1979 წ.წ.) გამოფენებში მონაწილეობს 1979 წლიდან.

ძირითადი ნამუშევრებია: „გაზაფხული", „სენეჟი", „შადრევანი", „რაჭა", „ჩემი მეგობრები", „ტურიზმი, საქართველო", „ქართული მოტივები", „ბავშვობის გახსენება", „ზღაპარ-იყო", „ღვთისმშობლის ცხოვრება", „ხალხური მოტივები", „გაზაფხულის დღეები", „დილა", „მარაო", „ნატვრის ხე", „ოქროს თევზი", „ნიჟარები", ყველა ოფორტი, პორტრეტების სერია, ექსლიბრისები.

გამოფენები: პერსონალური (თბილისი, მხატვართა სახლი, 1984), გერმანია, ზაარბრიუკენი (1992), თბილისი, მეტეხი-პალასი (1993,1995), თბილისი, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, (1995), პერსონალური — მოსკოვი (1995), პოლონეთი, ლოძი (1987, 1989), უკრაინა, ლვოვი, (1990), უკრაინა, ივანოვ-ფრანკო (1991), იაპონია, კიოტო (1991), შვეცია, ოლოფსტრომი (1993), ქართული ხელოვნების (დანია, 1980), მოსკოვი (1983), მოსკოვი (1987), პრაღა, ბრატისლავა, (1987), ბერლინი, (1988), დასავლეთ ბერლინი (1989), ბუდაპეშტი (1990), ბელგია (1993), ბაქო (1995), აშშ, სან დიეგო (1995), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში სეგ (1998). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის, გერმანიის, პოლონეთის, უკრაინის მუზეუმების ფონდებში. მიღებული აქვს მხატვართა კავშირის პრიზი, ბაქოს 1987 წ. ექსლიბრისის და რესპუბლიკური კონკურსის პრიზები. არის თსსა და თსუ პედაგოგი. მისი ბიოგრაფია შეტანილია სსრკ მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარში (მოსკოვი, „Советский художник")

„ევროპის მოტაცება"



„განხეთქილების ვაშლი"





„ნარცისი და ექო"

# ლალი ლომთაძის ნამუშევრები

მასალა იხ. გარეკანის III გვერდზე



„ნატვრის ხე"



„ჰერა"



„ქართული მოტივები"